საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 2-3 ივნისი. 2021 წ. №119-120 (9238-9239) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყვეყა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ნაკითხეთ ნამახვანჰესის მონინააღმდეგეებს!

„ლარსიჰესი“ არასდროს დაჭბორილა, არც 20 ადამიანი დაღუპულა!

5

ცოტა იბადება, ბევრი კვდება, ვინც ახალგაზრდაა, ყველა გარბის!..

4

მყარად რომ იდგე, სულ უნდა ირბინო...



7

საეკლესიო მუსიკას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა!

ქართულ ტრადიციულ საეკლესიო მუსიკას, ქართულ გალობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ინფორმაციას ამის შესახებ ფოლკლორის ცენტრი ავრცელებს.

ქართული გალობისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს ქართულ გალობასთან დაკავშირებული კულტურული ფენომენისა და ღირებულებების შენარჩუნებას.

ირაკლი ღარიბაშვილის სახელმწიფო ვიზიტი თურქეთში

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას გუშინ ეწვია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გაკეთდა. თურქეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დაწყებამდე, ირაკლი ღარიბაშვილმა მუსტაფა ქემალ ათათურქის მავზოლეუმი მოინახულა და მისი საფლავი გვირგვინით შეამკო.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი.

მეუფე იაკობი: ეკლესია ქვეყნის არევას არავის აპატიებს!..



ჩვენ ჩავუდგებით ახალ ძალას და მოფიქრებულიც გვაქვს, რაც უნდა გავაკეთოთ. არც არჩევნებზე გამარჯვება გაგვიჭირდება, — განაცხადა ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა. მისი თქმით, ეკლესია საქართველოს ასეთ არევას არავის აპატიებს.

მე ვთქვი, რომ ჩვენ ჩავუდგებით ახალ ძალას და მოფიქრებულიც გვაქვს, რაც უნდა გავაკეთოთ. არც არჩევნებზე გამარჯვება გაგვიჭირდება. ბოლოს რა პარტიებიც შემოვიდნენ, არცერთ მათგანთან არ ვითანამშრომლებთ. ლევან ვასაძეს რა აზრები აქვს, მე არ ვიცი. ახალ ძალებს პირადად ჩავუდგები სათავეში. სახელმწიფოს მომავალზე აბსოლუტურად კარგი ხედვა გვაქვს. როგორ და რატომ უნდა მოიაზრებოდეს ჩემთან ვასაძე? გახარიასაც თავისი მომხრეები ეყოლება, ბატონ ლევანსაც თავისი და „ნაცმოძრაობასაც“ თავისი. გეუბნებით, მე არ მაქვს კავშირები ვასაძესთან. ვიცნობთ ეკლესიაში, ისევე, როგორც სხვა ბიზნესმენებს, რომლებიც რაღაც პროექტებში მონაწილეობდნენ...

იმის შიში არ გქონდეთ, რომ რუსულ ძალას ან ანტიქართულ ძალას ხელში ჩავუგდოთ ქვეყანა. 500 ათასი კაცი მიჭერს მხარსო, რაში გიჭერს, რომ ანგრევ ქვეყანას? პარლამენტში რომ არ შედიხარ? რას დავამსგავსეთ თბილისი, კიდევ კარვების ქალაქი შეიძლება იყოს?

ველოდებოდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შევიდოდა და ეს უცხოელებსაც ვუთხარი, შევლენ-თქო. გარეთ რომ არ არიან, მადლობა ღმერთს! რას ერჩოდნენ ელისაშვილს? ზოგი ამბობდა ფული აიღოო, ახლა ესენი რომ შევიდნენ, ვერ ვიტყვით, რომ ფული აიღეს? ხელს რომ არ აწერ მიშელის დოკუმენტს, უცხოეთში რეიტინგი უფუჭდებათ, პარტიას შლიან. შერიგება თუ მოხდა, ყველა თავის გზას იპოვის. მე არ მაინტერესებს არცერთი პიროვნება, მე მაინტერესებს საქართველო“, — განაცხადა იაკობმა.

„ქართული ოცნება“ ნაცებს მრისხანე ულტიმატუმს უყენებს,

ხატია დეკანოიძე კი ქოცების „შერყევა-ჩამონგრევაზე“ ოცნებობს!

„ქართული ოცნება“ ენმ-ს, რომელმაც ბოიკოტის რეჟიმის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ხელს არ აწერს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ეგიდით შექმნილ შეთანხმების დოკუმენტს, ულტიმატუმს უყენებს.

კერძოდ, სახელისუფლებო გუნდის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თუ ენმ დოკუმენტს „გონივრულ ვადაში“ არ მოაწერს ხელს, ვერ მიიღებენ მონაწილეობას „მიშელის დოკუმენტით“ გათვალისწინებული შეთანხმების შესასრულებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და ვერც იმ ჯგუფში, რომელიც მომავალში შეიქმნება.

„გარდა ამისა, თუ „მიშელის დოკუმენტს“ ხელი გონივრულ ვადაში არ მოეწერება, ისინი ვერ ისარგებლებენ ვერც ერთი პრივილეგიით, რომლებსაც ეს დოკუმენტი ოპოზიციური პარტიებისთვის ითვალისწინებს“, — განაცხადა კობახიძემ ბრიფინგზე.

მან მაგალითად მოიყვანა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ფორმატი და განაცხადა, რომ ამ პროცესში ენმ არ ჩაერთვება, თუმცა მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტო დისკუსიებში.

რაც შეეხება პრივილეგიებს, კობახიძე განმარტავს, რომ საუბარია კომიტეტების და დელეგაციების გადანაწილებაზე.

დამაზუსტებელ კითხვაზე, რა პერიოდს გულისხმობს „გონივრული ვადა“, კობახიძე პასუხობს: „როდის ამოიწურება გონივრული ვადა, ამას ჩვენგან გაიგებთ“.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი ხატია დეკანოიძე კი საპასუხოდ აცხადებს, რომ ენმ „ქართულ ოცნებასთან“ ძალაუფლების გადანაწილებას არ აპირებს.

„ჩვენ არ ვაპირებთ „ქართულ ოცნებასთან“ ძალაუფლების გადანაწილებას. ჩვენთვის მთავარია, რომ რეალურად რეჟიმი შეირყეს და ჩამოინგრეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და საპარლამენტო საქმიანობა გამოვიყენოთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. ეს არის ჩვენი ამოცანა.

პრივილეგიები, კორუფცია და საკუთარი კეთილდღეობისთვის ბრძოლა, ეს არის კობახიძის და ბიძინა ივანიშვილის ყველა მსახურის მთავარი ამოცანა. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია იბრძოლებს იმისთვის, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს რაც შეიძლება მალე და ვადამდელ არჩევნებზე ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი,“ — განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ირაკლი კობახიძე:
როდის ტყუოდა გახარია კორუფციის შესახებ — ტრიბუნასთან თუ პარტიის პრეზენტაციაზე?

რამდენიმე თვის წინ გიორგი გახარია პარლამენტის წევრებს ეუბნებოდა, რომ საქართველოში არავითარი კორუფცია არ იყო. დღეს ის საუბრობს კორუფციაზე, როგორც მნიშვნელოვან პრობლემაზე. ჰკითხეთ მას, როდის ტყუოდა — საპარლამენტო ტრიბუნასთან თუ პარტიის პრეზენტაციაზე? ან მაშინ ტყუოდა, როდესაც ამბობდა, რომ კორუფცია არ არსებობს, ან ახლა ტყუის, როდესაც ამას სისტემურ პრობლემას უწოდებს.

„თქვენ ხედავთ, ვინ აპიარებს ძირითადად გიორგი გახარიას — „ტვ პირველი“ და „ფორმულა“. აქ არის ყველაფერი ნათელი. ძალიან მარტივად იკითხება, თუ ვისთან არის დაკავშირებული გიორგი გახარია. ეს უფრო მეტად ამძაფრებს იმ ეჭვებს, რომლებიც უკავშირდება 17-18 თებერვლის მოვლენებს — რატომ ითამაშა გახარიამ სააკაშვილის თამაში? 17-18 თებერვლის მოვლენები, სააკაშვილის თამაშში შესვლა, გიორგი გახარიას გაპიარება „ფორმულას“ და „ტვ პირველის“ მხრიდან — ეს ყველაფერი ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და გიორგი გახარიას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. გახარიამ უნდა უპასუხოს კითხვას, თუ რატომ არწმუნებდა ყველაზე აქტიურად საპარლამენტო უმრავლესობას, რომ აუცილებლად უნდა მოეხსნათ იმუნიტეტი ნიკა მელიასთვის. იმ 6-მა დეპუტატმა, რომელიც დღეს სხვა რაღაცებს ამბობს, მხარი დაუჭირა იმუნიტეტის მოხსნას. ამ კითხვაზე პასუხი ვერ ექნება, იმიტომ რომ, არსებობს პირდაპირი ლოგიკური წინააღმდეგობა. ჩვენ გვაქვს ჩვენი ეჭვები, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ კითხვებს გახარიამ უპასუხოს. ამ თემამ ჩვენთვის დაკარგა აქტუალობა, განსაკუთრებით იმ უღიმღამო პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კვლავ აქტუალურია. გიგი უგულავასა და პეტრე ცისკარიშვილს წამოსცდათ, თუ რა არის გიორგი გახარიას ამოცანა — რამენაირად არ დაგვაახლოვონ ჩვენ 43%-იან ნიშნულს. ამას ვერ მიაღწევენ — ამისთვის საჭირო რესურსი არ აქვს არც გახარიას, არც „ნაცმოძრაობას“, არც ყველას ერთად აღებულს. ჩვენ გვაქვს საკუთარი დღის წესრიგი და არჩევნებზე ჩვენს მიზანს მივაღწევთ ზუსტად ისევე, როგორც მივაღწიეთ წინა 7 არჩევნებში, — ხაზგასმით ამბობს ირაკლი კობახიძე.

შალვა პაპუაშვილი:
გახარიას მოძრაობა არათუ „ქართულ ოცნებას“, ბევრ ოპოზიციურ პარტიასაც ვერ გაუწევს კონკურენციას!

...ჩვენ გუშინ არც ახალი და არც რაიმე შინაარსობრივად ღირებული არ მოგვისმენია. გაუგებარი იყო მისი ქცევა. საბოლოო ჯამში, გუშინდელი მისი განმარტებებიდანაც აშკარა გახდა, რომ ის უბრალოდ პასუხისმგებლობას გაექცა იმ დღეს, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით. ეს იყო მისი გადადგომის მთელი არსი.

მან ასევე უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, თვითმმართველობის არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ გახარიას პარტია გაუწევს თუ არა კონკურენციას.

„ეს მოძრაობა არათუ „ქართულ ოცნებას“, ბევრ ოპოზიციურ პარტიას ვერ გაუწევს კონკურენციას“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

იენს სტოლტენბერგი:
ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობთ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე!

ნატოს ეს სამიტი იქნება მხოლოდ ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის. სამიტი ერთი დღე გაგრძელდება. შესაძლოა შემდეგ უფრო მეტი დრო იყოს და სავარაუდოდ იქნება მაღალ დონეზე პარტნიორებთან შეხვედრები, — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა.

„ამ ეტაპზე არ შემიძლია გითხრათ, თუ როდის იქნება პარტნიორებთან სამიტის დონეზე შეხვედრა. რაც შეეხება შავი ზღვის რეგიონს, ნატოს წარმომადგენლობა გაიზარდა რეგიონში, სადაც გვყავს სამი წევრი — ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი, ასევე ორი ძალზედ ღირებული პარტნიორი — საქართველო და უკრაინა. ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ მათთან, ვთანამშრომლობთ საქართველოს სანაპირო დაცვასთან. ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობთ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე. ხდება ინტენსიურ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლა. ნატო წარმოდგენილია შავი ზღვის რეგიონში ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაზე“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

საქართველო უფრო ძლიერი იქნება, თუკი მის საგარეო პოლიტიკას პარლამენტში ყველა პარტია მხარს დაუჭერს

ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა, ჰუბერტ ქნირშმა განაცხადა.

„როგორც საგარეო საქმეთა ურთიერთობების კომიტეტის წევრებთან შეხვედრისას აღვნიშნე, საქართველო უფრო ძლიერი იქნება, თუკი მის საგარეო პოლიტიკას მხარს დაუჭერს პარლამენტში ყველა პარტია და ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მტკიცედ იქნება გამოხატული პარლამენტში კონსტრუქციული მუშაობით“, — განაცხადა ელჩმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შედის. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარტიამ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღო. თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით გაფორმებულ შეთანხმებას ხელს არ აწერს.

კახა კუჭავა სებასტიან მოლინეუსს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, სებასტიან მოლინეუსს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მსოფლიო ბანკსა და პარლამენტს შორის ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას და ამ მხრივ ყურადღება სამომავლო გეგმებზე გამახვილდა.

„სებასტიან მოლინეუსთან დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებს. დღეს ჩვენ ვისაუბრეთ მსოფლიო ბანკსა და პარლამენტს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ამ მხრივ არსებობს“, — განაცხადა კახა კუჭავამ.

კადეტი ანა-მარია ქებაძე ლიდერთა გაცვლითი პროგრამის გამარჯვებულია!

მეორე სასწავლო კურსის კადეტი ანა-მარია ქებაძე მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა „FLEX“-ის გამარჯვებულია.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რთული შესარჩევი კონკურსის გავლის შედეგად, ის, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისწავლის. კადეტ ანა-მარია ქებაძის თქმით, მას ამ წარმატების მიღწევაში სწორედ კადეტთა სამხედრო ლიცეუმი დაეხმარა.

„კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ნამდვილად არის წარმატების გარანტი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამის ნათელი მაგალითი ვარ. ყოველთვის მსურდა მესწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ სურვილის ასრულებაში კი ლიცეუმში არსებული „TOEFL“-ისა და „SAT“-ის მოსამზადებელ კურსები დამეხმარა. თუმცა საკონკურსო პირობების თანახმად, გარდა აკადემიური ცოდნისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევებსა და დროის მენეჯმენტს. ლიცეუმში ნამდვილად კარგად გამოვიმუშავე ეს უნარ-ჩვევები. მადლობას ვუხდი ლიცეუმის ხელმძღვანელობას, პედაგოგებსა და სამხედრო ინსტრუქტორებს“, — განაცხადა კადეტმა ანა-მარია ქებაძემ.

„TOFEL“-ისა და „SAT“ — კურსს ხელმძღვანელობენ: აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე ნინო ყანჩელი (TOEFL) და ასოცირებული პროფესორი თეა კორძაძე (SAT).

არავის წინააღმდეგ... ივანიშვილის გარდა?!

„სიმართლე და ძმედება“ – ამ ლოზუნგით დაბრუნდა ქართული პოლიტიკის ყველაზე სკანდალური სახე აქტიურ პოლიტიკაში. გიორგი გახარიას დაბრუნების შემდეგ, ფაქტობრივად, პოლიტიკური ველი შევსებულია, საფრთხეები ცნობილი, ფავორიტები დანაწილებული და ვინ ვისთან – გარკვეული.

მოლოდინი, რომ გახარია მთავარ დარტყმას ყოფილ გუნდს მიაყენებდა, არ გამართლდა. ყოფილ პრემიერს არც ოპოზიციის კრიტიკა დასცდენია. გახარიას თძმით, ისინი ერთიანდებიან საქართველოსთვის, მაგრამ არავის წინააღმდეგ. ეს სიტყვები ძლიერი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ლიდერის პოზიციიდან ნათქვამს ჰგავს – „ძალლი ყეფს, ქარავანი მიდის“ – დაახლოებით ამ ანდაზის დედააზრის გათვალისწინება მოუწევს ძალიან მალე „ოცნებას“ და კეკერ ოპოზიციას. ფაქტია, გახარიას ჯოკერი ჯერ კიდევ მის სახელოში იმალება.

გახარიას ნახევარსაათინი გამოსვლა მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლება დაინახო – ახლად გამომცხვარი პარტიის ლიდერი, საკუთარ პოლიტიკურ წონას კარგად გრძნობს.

გაამართლებს თუ არა გახარიას პოლიტიკური ალღო, ამას ეტაპობრივად, ძალიან მალე დავინახავთ.

რუსეთი თუ ივანიშვილი?

მას შემდეგ, რაც გახარიას აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი საბოლოოდ გაირკვა, დღის წესრიგში მისი დაფინანსების წყაროების გარკვევა დადგა. უამრავი ვარიანტიდან საბოლოოდ საზოგადოების ყველაზე რადიკალური ნაწილი ასე ჩამოყალიბდა: გახარიას რუსეთი აფინანსებს, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ გახარია არის ბიძინა ივანიშვილის პროექტი, რომ ყოფილი გუნდისგან იმედგაცრუებული ოლიგარქი, შეცვლილი სახელითა და სახეებით, საკუთარი ოცნების რეაბილიტირებას და პოლიტიკური პროცესების მართვის სადავეების ხელში აღებას კიდევ ერთხელ შეეცდება. კიდევ ერთი ვერსიაა – კეზერაშვილი.

რა თქმა უნდა, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა გამორიცხვის მეთოდი აქაც ერთვება.

რუსული კავშირები, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ საყვარელი ვერსიაა, რომელთაც, საკუთარი დაფინანსებაც და ადამიანური რესურსით, რუსეთის მიერ გამოწვდილი დახმარების ხელი რატომღაც ყოველთვის ავიწყდება. შეიძლება ბევრს აღარ ახსოვს, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გახსენება. ეს არის უახლესი მაგალითი, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელ ლიდერის, და პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინასაარჩევნო კამპანიაში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ოკუპანტი ქვეყნის პიარტექნოლოგები – ვიტალი შკლიაროვი და მაქსიმ კაცი. რუსულ ისტებლიშმენტში საკმაოდ ცნობილი და პოლიტიკურ ბატალიებში გამოწვრთნილი პიარტექნოლოგები სოციალურ ქსელში აქტიურად აანონსებდნენ არჩევნებში გრიგოლ ვაშაძის უპირობო გამარჯვებას. ვიტალი შკლიაროვი ასევე რუსეთში ქსენია სობჩაკის საარჩევნო კამპანიის აქტიური კონსულტანტი იყო. ამ თემას რატომღაც „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის გვერდს უვლიდა, თუმცა ფაქტები ისტორიას ყოველთვის რჩება. ასე რომ, გახარიას მისამართით გამოთქმული ეს ვერსია არც თუ დამაჯერებლად გამოიყურება.

არის თუ არა გახარია ივანიშვილის პროექტი?

ჟურნალისტების მიერ დასმულმა კითხვამ გახარია აშკარად გააღიზიანა – „მე არასოდეს არავისი პროექტი არ ვყოფილვარ და არ ვიქნები“ – გახარიას ამ პასუხიდან კარგად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში დასმული კითხვა მის ადამიანურ თავმოყვარეობას შეეხო. ფაქტია, გახარიას პოლიტიკაში აკადემიური შემოსვლა ყველა ნიუანსით, ძალიან ჰგავს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას. თუმცა ერთი მთვარი და თვალშისაცემი განსხვავებით – გახარიას გუნდში არ არიან ბიზნესმენები და ხავსმოკიდებული პოლიტიკოსები, მისი გუნდი ძირითადად მცირე პოლიტიკური გამოცდილების ადამიანებით, იურისტებითაა დაკომპლექტებული. ფაქტია, ახალი ლიდერი ძირითადად საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილზე ამყარებს იმედებს.

მართალია, გიორგი გახარიამ თავის ვრცელ გამოსვლაში ბევრ საკითხზე ისაუბრა, მაგრამ საზოგადოებაში მის მიმართ არსებულ უამრავ კითხვას, კიდევ არაერთი კითხვა დაემატა. მაგალითად ის, თუ რითი ჰგავს გახარია ბიძინა ივანიშვილს? გახარიას პირველივე ნაბიჯში ივანიშვილის პოლიტიკური ხელწერა აშკარაა. ამის გასარკვევად უკან, 2012 წლებში მოგვიწევს დაბრუნება.

ქართულ პოლიტიკაში, ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა მისი წინამორბედი პოლიტიკოსებისგან რადიკალურად განსხვავდებული იყო. ივანიშვილმა, დასაწყისშივე აჩვენა განსაკუთრებული ორგანიზებულობა და არსებული პოლიტიკური საკითხების ქრონოლოგიური და სიღრმისეული ანალიზის უნარი. მან პარტიაში ე.წ. თემატური ჯგუფები ჩამოაყალიბა, ამ ჯგუფებში კომპეტენციის მიხედვით გაერთიანებული ადამიანები, საკითხის ძირეულად შესწავლის შემდეგ, სამომავლოდ გრძელვადიან გაწერილ გეგმას ეტაპობრივად აცნობდნენ საზოგადოებას. სწორედ ასეთი თემატური ჯგუფებით აპირებს გახარია პოლიტიკური ფრონტის გაშლას.

წკიპურტები ივანიშვილისთვის

მართალია, ყოფილი პრემიერი თავის პირველ გამოსვლაში საკმაოდ მოზომილი და დელიკატური იყო, რიგი საკითხის მიმართ, თუმცა მის ცალკეულ თეზისებად ჩამოყალიბებულ გამოსვლაში, „ქართულ ოცნებას“ და პირადად ბიძინა ივანიშვილს არაერთი ფარული წკიპურტი მოხვდა.

ივანიშვილი, საკუთარი უპრაგონოდ გაცემული არარეალური დაპირებების მსხვერპლი კიდევ ერთხელ გახდა. გიორგი გახარიას მიერ ივანიშვილის ბოსტანში ნასროლი ქვა მიზანს მოხვდა:

„არ არსებობს დაპირება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ გაცემულა. ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური კულტურის დონეზე მიუთითებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში აშკარად არის სიმართლის პრობლემა, მაშინაც, როცა გვიწევს თვალი გავუსწოროთ მწარე სიმართლეს, მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ კლასზე, რომლის პასუხისმგებლობაც უნდა იყოს ბევრად უფრო მაღალი და რაც მთავარია, ჩვენთან არის უზარმაზარი დეფიციტი გაცემული დაპირებებზე პასუხისმგებლობის“, – განაცხადა გახარიამ.

გახარიას ამაში ნამდვილად ვერ შევედავებით. ივანიშვილის და მისი მაშინდელი გუნდის მიერ გაცემული ნაირ-ნაირი დაპირებები დღემდე ლეგენდებად დადის.

„ჩვენ საზოგადოებასთან ერთად ბოლო პერიოდის განმავლობაში თვალყურს ვადევნებთ ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებს. ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, ბევრი მოქალაქისთვის, აბსოლუტურად ნათელია, რომ დღეს საქართველოს სჭირდება ის გუნდი, რომელსაც შეუძლია სიმართლეს გაუსწოროს თვალი, რომელსაც შეუძლია და უნარი შესწევს სიმართლე უთხრას საქართველოს მოქალაქეებს, უთხრას სიმართლე იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას. და რაც მთავარია, მოქალაქეებთან ერთად, მათი ჩართულობით, ქვეყანას შესთავაზოს წესრიგი, ოღონდ საამართლიანი წესრიგი. სამართლიანი წესრიგი არის ის სივრცე, რომელშიც შეგვეძლება ყველას ერთად, ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს და, რაც მთავარია, ვემსახუროთ სახელმწიფოს. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, სიმართლის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ უნდა ვიცხოვროთ ილუზიაში. ხანდახან პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური ველი გვაცხოვრებს ამ ილუზიაში, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ძალებზე, პოლიტიკურ პარტიებს შორის კინკლაობა, ჩხუბი შეიძლება ვიღაცას ეგონოს, რომ ქვეყნისთვის რაიმე პროგრესის მომტანია, არა! სინამდვილეში კარგ შემთხვევაში ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, ცუდ შემთხვევაში ქვეყანა იხევს უკან“, – განაცხადა გახარიამ.

კიდევ ერთი რადიკალური პოზიცია, რასაც პარტიის ლიდერმა პირდაპირ გაუსვა ხაზი, ეს არის ნეპოტიზმი და კორუფცია. ნეპოტიზმის განვითარებას, ივანიშვილმა მხარი თავიდანვე დაუჭირა. მედიასთან, ერთ-ერთ ტრადიციულ შეხვედრაზე, ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის მიერ, ნეპოტიზმთან დაკავშირებით დასმულ კითხვას საკმაოდ ცინიკურად უპასუხა, რომ თურმე თანამდებობებზე ნაცნობ-მეგობრების დანიშვნა სანდოობის თვალსაზრისით გამართლებულია. რაც შეეხება ელიტარულ კორუფციას, ამისი უამრავი მაგალითების მოყვანით მკითხველს არ გადავღლით, ეს უკვე ქვეყნის ყოველდღიურობადაა ქცეული. აი, რას ამბობს ნეპოტიზმსა და კორუფციაზე გახარია:

„ჩვენ, ყველას კარგად უნდა გვსმოდეს, რომ ჩვენნაირი ღარიბი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის ამოცანაა ყოველდღიური ბრძოლა კორუფციასთან და ნეპოტიზმთან. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რამხელა რისკებში შედის ქვეყანა, რომელსაც აქვს სუსტი ინსტიტუტები, სადაც არსებობს ნეპოტზმი და კორუფციული რისკები. ეს არის უზარმაზარი სისტემური რისკების შემცველი პრობლემა, რომლის მოგვარება ჩვენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავიწყოთ“, – განაცხადა გახარიამ და აღნიშნა, რომ უნდა გაგრძელდეს ყველა ის პოზიტიური რეფორმები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში დაიწყო. თუ რომელ რეფორმებს გულისხმობდა, არ დაუკონკრეტებია.

რატომ გადადგა გახარია თანამდებობიდან?

საკუთარ გამოსვლაში, პარტიის ლიდერმა, ყველაზე აქტუალურ კითხვას საკმაოდ დაბალანსებული პასუხი გასცა.

რატომ გადადგა ყოფილი პრემიერი ყველაზე გარდამტეხ მომენტში? – საზოგადოებაში არსებული უამრავი ვერსიიდან გახარიამ ყველაზე დიპლომატიური პასუხი აირჩია:

„გადავდექი იმიტომ, რომ ერთ კონკრეტულ მომენტში, ჩემთვის სრულიად გასაგებად და აშკარად, პოლიტიკურმა პარტიამ მისი პარტიული ინტერესები დაყენა სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა. ეს იყო რეალური მიზეზი იმ ნაბიჯის, რომელიც მე გადავდგი“, – განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, მან მთავრობის მეთაურის თანამდებობა დატოვა, რადგან მმართველი პარტია დაშორდა მოქალაქეების რეალურ პრობლემებს იმის გამო, რომ პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლა ბევრად უფრო მნიშვნელოვანად მიიჩნია.

ფაქტია, გიორგი გახარია მმართველი გუნდის კუნთების თამაშს არ აჰყვა, „ოცნების“ პოლიტიკური ამბიციები გახარიამ თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილებით ჩააცხრო, მოსალოდნელი ნეგატიური მოვლენები კი შეაჩერა. ამ გადასახედიდან, გახარიამ, თავისი გადადგომით არა ნიკა მელია, არამედ „ოცნება“ კიდევ ერთ სკანდალს გადაარჩინა.

უკვე ნათელია, რომ გახარიას გუნდის პირველი პოლიტიკური ნათლობა შემოდგომაზე დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე შედგება. იქნება თუ არა ის დედაქალაქის მერობის კანდიდატი, გახარია პასუხობს, რომ მასზე უკეთესი კანდიდატებიც არსებობენ. ამით ყველაფერია ნათქვამი – გახარიას დონე დედაქალაქის მერის პოსტი არ არის. ვინც არ უნდა დაასახელოს გიორგი გახარიამ მერობის კანდიდატად, შემოდგომაზე ახლადშექმნილ პარტიას, სერიოზული ტესტის ჩაბარება მოუწევს. მოახლოებულ არჩევნებთან პირდაპირ ბმას ვხედავთ პარტიის პრეზენტაციაზე მოულოდნელად გამოჩენილ ძმებ არველაძეებთან. ბევრი უარყოფის შემდეგ, უკვე დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არველაძეები გახარიას გუნდში მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად ემზადებიან. ლოგიკურია, რომ გახარიამ ადგილობრივ არჩევნებში ფსონი სწორედ არველაძეებზე დადოს.

მძიმე მემკვიდრეობა

ეს რაც შეეხება ქვეყნის ყველაზე პოლიტიზირებულ ნაწილს – დედაქალაქს. თუმცა, გადამწყვეტი ბრძოლა გახარიას წინ, რეგიონებში ელოდება.

გახარია თავისი მცირე პოლიტიკური წარსულით პირდაპირი სამართალმემკვიდრეა ხელისუფლების შეცდომების, ზოგჯერ დანაშაულებრივი ქმედებების და არაპოპულარული ნაბიჯების, რაზეც პარტიის ლიდერს პასუხის გაცემა აუცილებლად მოუწევს. გახარია საკუთარ გამოსვლაში ამბობს:

„მე დღეს აქ ვდგავარ თქვენს წინაშე სრული აღქმით იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც მეც მაკისრია ამ რეალობის შექმნაში. რა თქმა უნდა, მე ვარ ნაწილი იმ წარმატებისა და იმ წარუმატებლობის, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებობს. სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამო ვდგავარ აქ, სწორედ ამ პასუხისმგებლობამ არ მომცა შესაძლებლობა, გავქცეულიყავი, სწორედ ეს პასუხისმგებლობა არის, რამაც მომცა იმის ძალა, რომ ვმდგარიყავი თქვენთან ერთად და მეთქვა – გავერთიანდეთ საქართველოსთვის! ამასთან ერთად, მინდა დაგპირდეთ და დაგარწმუნოთ, რომ არ მეშინია არაფერზე საუბრის, რაც გამიკეთებია და რაშიც მონაწილეობა მიმიღია და როგორც აქამდე გამიცია ნებისმიერი კითხვაზე პასუხი, ასე გავაგრძელებთ, იმიტომ, რომ ჩვენი ყველა ნაბიჯის ძირითადი განმსაზღვრელი არგუმენტი და ფაქტორი იყო ფასეულობები – ქვეყნისა და სახელმწიფოს მსახურება“, – განაცხადა გიორგი გახარია.

უფრო მეტს საზოგადოება ახალი პარტიის ლიდერისგან უკვე ამ დღეებში მოისმენს. გახარია აქტიურ რეჟიმში გადადის. რას ეტყვის ის საზოგადოებას, რა პასუხები ექნება საკმაოდ კრიტიკულ კითხვებზე, მოახდენს თუ არა საკუთარი რეპუტაციის რეანიმაციას, ამას სულ მალე გავიგებთ. ფაქტი ერთია – ხელისუფლებას და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, კიდევ ერთი ახალი კონკურენტის გამოჩენა დიდ თავისტკივილად ექცევა. სისხლიანი 9 წელი და ქარიზმატული მიშა უკვე პოლიტკური წარსულის საკუთრებაა, წინ კი, არჩევნებია.

ცოტა იბადება, ბევრი კვდება, ვინც ახალგაზრდაა, ყველა გარბის!..

საქართველოდან წასული გერმანიაში ლეგალურად დასაქმებული 24 მოქალაქე უმძიმეს პირობებზე საუბრობს. მათ მოლოდინი არ გაუმართლდათ და საათში დაპირებული 9 ევროს ნაცვლად 3 ევროს აძლევენ, მძიმეა მათი საცხოვრებელი პირობებიც.

დასაქმების სააგენტოში აცხადებენ, რომ, თუ დამსაქმებელი ვერ შეასრულებს ვალდებულებას, ჩვენი მოქალაქეები სხვა დამსაქმებლებთან გადანაწილდებიან. ამ ეტაპზე პირველი აპლიკანტები აჭარა-გურიიდან შეირჩა, ძირითადად ისინი საკრეფად მიჰყავთ, ვინაიდან პანდემიის გამო ვერ მოხერხდა მუშახელის ჩაყვანა რუმინეთიდან. საზღვრების ჩაკეტვის გამო გერმანელმა ფერმერებმა თავად გერმანელების დაქირავება სცადეს, თუმცა ერთ-ერთი ფერმერის თქმით, გერმანელი მუშახელი მინდვრებიდან გაიპარა.

რამდენად მძიმეა საქართველოდან წასულ ადამიანთა ხვედრი თუნდაც ლეგალურად დასაქმების შემთხვევაში, ამის შესახებ დემოგრაფი ანზორ სახვაძე გვესაუბრება.

— გერმანიაში დასაქმების სურვილი საქართველოში 97 ათასზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა, ეს კი საქართველოს მოსახლეობის 2%-ზე მეტია. პარალელურად, ნაცვლად 500 ადამიანის კვოტისა, გერმანიამ სეზონურ სამუშაოზე კვოტა გაზარდა და 5000 ადამიანის კვოტა დააწესა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოდან გერმანიაში 5 ათასი ადამიანი შეძლებს ჩასვლას. ასეთი პერიოდული გადინებები როგორ აისახება საქართველოს დემოგრაფიაზე?

— ამდენი ადამიანის საზღვარგარეთ გადინება იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში საქმე კარგად არ არის. მე-19 საუკუნეში იყო საფრანგეთის კონსული გამბა, რომელსაც აქვს დაწერილი წიგნი თავისი შთაბეჭდილებების შესახებ, სადაც ერთი ასეთი ფრაზაა: **ემიგრაციის მაჩვენებლის ზრდა იმის უტყუარი საბუთია, რომ ქვეყანაში მდგომარეობა მძიმეა!**

გამბას გარეშეც ეს ადვილად მისახვედრია, რომ ემიგრაციაში წასვლა თავისთავად ნეგატიური მაჩვენებელია. ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდულია, სასურველია ამ მიმართულებით ნაბიჯები გადაიდგას. მარტო მოწოდება, რომ წავიდეთ და საზღვარგარეთ ვიმუშაოთ, ქვეყნის ხელისუფლებისთვის სახარბიელო არაა.

— ალბათ, დემოგრაფებზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა, რომ გერმანიაში დასაქმებისთვის მხოლოდ ერთ დღეში 40 ათასი მსურველი დარეგისტრირდა. ასევე, ისრაელში ეპატიჟებიან ქართველ მამაკაცებს და მეტად უცნაურ კრიტერიუმებს მოითხოვენ მათგან, მათ შორის, აქცენტი კეთდება სიმაღლეზე და სხვა.

— ის ფაქტი, რომ გერმანიასა და ისრაელში ხდება ჩვენი ქვეყნიდან წასაყვანი კონტინგენტის შერჩევა, ეს ყველა ქვეყანაში ასეა. მაგალითად, ამერიკაში გარკვეული კვოტებია დაწესებული, რამდენი მიგრანტი უნდა იყოს უმაღლესი განათლებით, რამდენი მანდილოსანი, მამაკაცი. ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეა, მათი დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით. თავის დროზე ავსტრალიაში ითხოვდნენ, რაც შეიძლება ბევრი ქალი ჩასულიყო, რადგან ავსტრალიელები მოწადინებულნი იყვნენ, გამრავლებულიყო მათი მოსახლეობა, რასაც იმდროინდელი მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ხელს არ უწყობდა. ეს მიმღები ქვეყნის არჩევანია, ვისაც უნდა, იმას შეუშვებს თავის ქვეყანაში. თავისთავად, ის, რომ 40 ათასი ადამიანი დარეგისტრირდა საქართველოდან, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ 40 ათასივე მიიღებს გერმანიაში წასვლის შესაძლებლობას. თუმცა შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოდან წასვლის სურვილი ამდენმა ადამიანმა გამოთქვა. მე ვფიქრობ, მსურველები კიდევ უფრო მეტნი იქნებიან, თუმცა იმის გამო, რომ ზოგმა ენა არ იცის, გერმანიის ნაცვლად სხვა ქვეყანას ამჯობინებს. ჯერ შეზღუდულნი ვართ მიმღები ქვეყნების რაოდენობაში და, რომ იყოს უფრო ფართო არჩევანი, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

— რით ახსნით, რომ გერმანელები ქართველი სეზონური მუშახელისთვის კვოტას ზრდიან?

— ამაში გასაკვირი არაფერია, გერმანიამ უნდა მიიღოს ქართველი მიგრანტები, თუკი უნდა თავისი თვითმყოფადობა შეინარჩუნოს, რადგან გერმანიამ მწარე გაკვეთილი მიიღო იმის გამო, რომ 60-70-იანი წლების დასაწყისში კარები გაუღო სხვა, მუსლიმანური კულტურის წარმომადგენლებს, რომლებმაც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიყარეს თავი და ამდენი ხნის გასვლის შემდეგ მათმა შთამომავლებმა თავიანთი პრეტენზიები წამოაყენეს. ისინი უკვე იქ დაიბადნენ, გერმანიის ჩვეულებრივი მოქალაქეები გახდნენ და მოითხოვენ ისეთივე უფლებებს, როგორც მკვიდრ გერმანელებს ჰქონდათ, მეჩეთის აშენება იქნება, თუ თავიანთი ნაციონალური ტანსაცმლით სიარული. საქართველოდან ჩასულებთან დაკავშირებით კი გერმანელებს ასეთი პრობლემები არ ექნებათ. ამიტომაც სრულიად გასაგებია, რომ საქართველოდან უფრო სურთ მიგრანტების მიღება, ვიდრე სხვა კულტურის მქონე ქვეყნებიდან. ამიტომაც იყო, ანგელა მერკელმა რამდენიმე წლის წინ პირდაპირ აღიარა, რომ მულტიკულტურული რევოლუცია, პრაქტიკულად, ჩვენთან ვერ განხორციელდაო. გერმანელებს ეგონათ, ერთ კულტურაში გადაიხარშებოდნენ სხვადასხვა მიგრანტთა შთამომავლები, მაგრამ ასე არ მოხდა და, პრაქტიკულად, ყველა ერმა თავისი თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

ემიგრაციის მაჩვენებლის ზრდა იმის უტყუარი საბუთია, რომ ქვეყანაში მდგომარეობა მძიმეა!..

— სულ მალე ჩრდილო მაკედონიაში წამსვლელებიც ვიზის მიღებისგან გათავისუფლდებიან. ეს რა პერსპექტივას გვიქადის?

— მე არ ვიცი ჩრდილო მაკედონიის ეკონომიკური შესაძლებლობები და იქ სამუშაო ძალის დასაქმების პერსპექტივები, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ კიდევ ერთი ადგილი ჩნდება, სადაც კარს გიღებენ, ბევრი ადამიანის წასვლას გამოიწვევს, მით უმეტეს, თუკი გაქცევაზე ხარ ორიენტირებული. ეს ადამიანები გამოცდიან თავიანთ ბედს, რადგან ჩაკეტილ სივრცეში, პრაქტიკულად, ამოწურული აქვთ პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა. ამიტომ მოსალოდნელია, ძალიან ბევრი ადამიანი წავიდეს საქართველოდან. ახალი ნაკადების შესაჩერებლად მხოლოდ სოფლის გაძლიერებას ვერ განვიხილავთ, რადგან მიგრანტთა შორის ძალიან ხშირად სოფლის მცხოვრებნი ჭარბობენ. ხშირად ისეთებიც არიან, რომლებსაც დედაქალაქიც შეიძლება არ ჰქონდეთ ნანახი და თავისმა ნათესავმა, რომელიც ადრე იყო წასული იტალიაში, თუ ესპანეთში, გაუკეთა ვიზა. ემიგრანტთა სტრუქტურა მარტო ქალაქის მოსახლეობით არ კომპლექტდება, იქ სოფლის მცხოვრებთა დიდი წილია.

— გერმანიაში 24 ადამიანი 24 კვადრატულ მეტრ ფართში შეყარეს, არ არის ნორმალური კვება, ნორმალური ხელფასი. სხვა ქვეყნებში რა მდგომარეობაა?

— ჭაში ჩავარდნილმა ადამიანმა რა უნდა ქნას? სხვა გამოსავალი რომ ჰქონდეთ, ალბათ, უკეთეს პირობებს მოძებნიდნენ. საქართველოში უარესი პირობებია, ამიტომ ორ ცეცხლს შუაა ადამიანი და ვერ ბრუნდება სამშობლოში. ამასობაში დემოგრაფიული სურათი უარესდება. მაგალითად, გასულ წელს გარდაცვალებულთა რაოდენობამ დაბადებულთა რაოდენობას გადააჭარბა. ოფიციალური სტატისტიკით, გარდაიცვალა 50 ათასი ადამიანი, ხოლო დაიბადა მხოლოდ 46 ათასი. ეს მიანიშნებს არასახარბიელო დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. თუ რაღაც არ შეიცვალა, ეს კიდევ უფრო გაუარესდება იმის გამო, რომ წინა პერიოდში დაიწყო შობადობის დონის შემცირება, რომელთა შთამომავლებიც, დემოგრაფიული ტალღის სახით, ახლა არიან იმ რეპროდუქციულ ასაკში, როცა თვითონ უნდა გააჩინონ ბავშვები. კერძოდ, 90-იანი წლებიდან რომ დაიწყო შობადობის შემცირება, ზუსტად იმ 90-იან წლებში დაბადებულნი არიან ძალიან მცირე რაოდენობით. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაახლოებით იბადებოდა 90 ათასი ბავშვი, შემდგომ უკვე 46 ათასზე ჩამოვიდა, ანუ, პრაქტიკულად, განახევრდა, ცხადია, განახევრებული კონტინგენტი უფრო ცოტა შვილს გააჩენს...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ქვეყანაში ყოველი მეხუთე ღარიბ-ღატაკია!..

მაშინ, როდესაც ჩვენში რეალური საშუალო ხელფასი 500 ლარია, გამოდის, რომ მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი კომუნალურ გადასახადებში მიდის. დანარჩენი კი საკვების შეძენას ხმარდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ქვეყნის მოსახლეობის 21.3% იმყოფებოდა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე ადამიანი ღარიბი ან ღატაკია. მდგომარეობა გაუარესებული 2019 წელთან შედარებით, როდესაც ფასებიც გაცილებით დაბალი იყო და ლარიც შედარებით უფრო მყარი.

შარშან წლის მეორე ნახევარსა და წელსაც მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა, მით უფრო, რომ ნახტომისებურად გაიზარდა კომუნალური ტარიფებიც. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, 2021 წელს კიდევ უფრო მეტ ადამიანს გაუჭირდება და, შესაბამისად, გადაინაცვლებს კიდეც ღარიბ-ღატაკთა ფენაში.

„საქსტატის“ ინფორმაციით, სოფლად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი შარშან 27.5 პროცენტი იყო, ქალაქში კი — 17.1 პროცენტი.

ამასთან, უწყების ცნობით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 1.8 პროცენტით არის გაზრდილი. 2019 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ საქართველოს მოსახლეობის 19.5 პროცენტი ცხოვრობდა.

აბსოლუტური სიღარიბის დონე გულისხმობს, რამდენ ადამიანს არ მიუწვდება ხელი საჭირო აუცილებელ მინიმალურ საარსებო პირობებზე.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში რეალური საშუალო ხელფასი 500 ლარია, გამოდის, რომ მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი კომუნალურ გადასახადებში მიდის. დანარჩენი კი საკვების შეძენას ხმარდება. ამ ყველაფერს კრიზისი ემატება. მოქალაქეების დიდ ნაწილს სხვადასხვა ტიპის დახმარება ჯერ კიდევ სჭირდება, ამ დროს კი მათ გადასახადებს უზრდიან, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ პრობლემებს შექმნის.

— შემოსავლები ნამდვილად იკლებს, განსაკუთრებით ბოლო ერთ წელზე მეტია. ამ დროს ყველა ხარჯი იზრდება და ხალხი უკვე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ლარი მერყეობს დოლართან მიმართებით, შესაბამისად, ეცემა მისი კურსი. საწვავი ძვირდება, იმპორტირებული პროდუქტის ფასი იმატებს, კომუნალური ტარიფები გაიზარდა და ზეგავლენას ახდენს ფასებზე. საბოლოო ჯამში, მივდივართ იქამდე, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ლარის სიმყარე, რომელიც არის მთავარი პრობლემა მთელ ამ ჯაჭვში, — აცხადებს ეკონომისტი **რამაზ გერლიანი**.

პანდემიის პერიოდში ბიზნესის პრობლემები, ლარის შეუქცევადმა გაუფასურებამ და სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა გამოიწვია. ოფიცილური მონაცემებითაც კი დასტურდება, რომ ხალხის ნაწილი, ძირითადად, პენსიასა და ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული.

როგორც ეკონოიმიკის დოქტორი **პაატა აროშიძე** მიიჩნევს, ნამდვილად ძალიან ცუდია, როცა ჩვენი თანამემამულეები დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო დახმარებებზე. პრობლემა სეზონური სამსახურებია, რაც საზოგადოებას არ აძლევს სრულფასოვნად თავის რჩენის საშუალებას.

— ქვეყანაში დასაქმების დონე არის მხოლოდ სეზონური. ასევეა მომსახურების სფეროშიც, მოქალაქეებს არ ეძლევათ საშუალება, რომ ღირსეულად იშრომონ და ირჩინონ თავი, რაც საკმაოდ რთული პრობლემაა. შედეგად ეს აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, — აღნიშნა არაშიძემ

გეძა დანელია

„ლარსი ჰესი“ არასდროს დატბორილა, არც 20 ადამიანი დაღუპულა!

„ლარსი ჰესი“-ს დირექცია ჰესის დატბორვისა და 20 ადამიანის დაღუპვის ფაქტს უარყოფს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ერთ-ერთი მაუწყებლის ეთერში, დებატებში მოწვეული სტუმრის, „სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მიერ გაკეთდა განცხადება, რომ თითქოს „ლარსი ჰესი“ დაიტბორა, განადგურდა, აღარ მუშაობს და დაიღუპა 20 ადამიანი.

„ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს სიცრუეს და დეზინფორმაციას.

ჰიდროელექტროსადგური „ლარსი ჰესი“ ესპლუატაციაში შევიდა 2013 წელს და მას შემდგომ წარმატებით ოპერირებს. ჰიდროელექტროსადგურმა თავისი ფუნქციონირების პერიოდში, გადაიტანა და გაუძლო არაერთ მასშტაბურ სტიქიურ მოვლენას. გარდა ამისა, აღნიშნული სტიქიების დროს, ჰესის წყალმიმღებმა ნაგებობებმა შეაჩერა ღვარცოფული ნაკადები, რამაც გადაარჩინა არაერთი ადამიანის სიცოცხლე და მიმდებარე მნიშვნელოვანი ობიექტი (საბაჟო-გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“, მესაზღვრეთა საბაზო შენობა, სასტუმრო, ხიდი მდ. ბროლისწყალზე და სხვა.) ასევე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ „ლარსი ჰესზე“ მშენებლობის და ოპერირების პერიოდში არცერთი ადამიანი არ დაღუპულა.

ქალბატონი გოდოლაძის ზემოთ აღნიშნული განცხადება მიზანმიმართულად ემსახურება დარგის დისკრედიტაციას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიდროელექტროსადგური „ლარსი ჰესი“ ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში, სტაბილურად და სრული სიმძლავრით ამარაგებს ქვეყნის ენერგოსისტემას“.

კორონავირუსმა მინისტრიც არ დაინდო

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა, — ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„მინისტრი თავს კარგად გრძნობს, თვითიზოლაციაში იმყოფება და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს. სამინისტროს სხვა თანამშრომლები, რომლებთანაც ინფიცირებულს კონტაქტი ჰქონდა, თვითიზოლაციაში არიან გადაყვანილნი“, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

აგვისტოდან კოვიდინფიცირების შემთხვევები გაიზრდება

სხვადასხვა ინსტიტუტის მონაცემებით და პროგნოზით, აგვისტოდან კოვიდინფიცირების შემთხვევების ზრდაა მოსალოდნელი.

„თუ ჩვენ დავიცავთ ყველა იმ რეკომენდაციასა და რეგულაციას, რაც გაჟღერებულია,ნაკლები იქნება ინფიცირების შემთხვევები. ამასთან, ?ეპიდსიტუაცია მთელ მსოფლიოში დამშვიდებისკენ მიდის. დღეს დილისთვის არის 359 ათასი ახალი შემთხვევა. დღიური შემთხვევების ეს რაოდენობა აღირიცხებოდა მხოლოდ ინდოეთში ეპიდემიის პიკის დროს. ახლა COVID19-ით ინფიცირების შემთხვევები ჩვენთანაც და ევროპაში მოდის ქვემოთ. ეს დაღმასვლა კიდევ გარკვეული პერიოდი გაგრძელდება“...

მესამე ტალღა დაძლეული არ არის, მხოლოდ პიკმა გადაიარა



იმისთვის, რომ რეგულაციების შემსუბუქებას ეპიდსიტუაციის გაუარესება არ მოჰყვეს, წესები კვლავ ზედმიწევნით უნდა შესრულდეს, — ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა.

„იხსნება სახმელეთო საზღვრები, სადაც დაახლოებით იგივე წესები იმოქმედებს, როგორც საჰაერო საზღვრებში. ეს, რა თქმა უნდა, შეიცავს რისკებს, რომ ეპიდსიტუაცია გაუარესდეს, მით უმეტეს როცა ჯერ მესამე ტალღა არ არის მთლიანად დაძლეული, მხოლოდ პიკმა გადაიარა, მაგრამ მესამე ტალღა გრძელდება. რეგულაციები ზედმიწევნით უნდა შევასრულოთ და პირველ რიგში ყველამ ვატაროთ პირბადე“, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

ნორვეგია ჰესებისგან საქართველოსთან შედარებით 12-ჯერ, ისლანდია კი 18-ჯერ მეტ ელექტრო-ენერგიას აწარმოებს



წააკითხეთ ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეებს!

2020 წელს საქართველოში ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობამ 8248 მლრდ კვტ/სთ შეადგინა. ჯამური გენერაციის 74%. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი 2229 კვტ/სთ.

ნორვეგიაში წლიური ჰიდროგენერაცია 144 მლრდ კვტ/სთ-ია, რაც მისი ჯამური წარმოების 88%-ს შეადგენს. განახლებად ენერგიასთან მიმართებაში კი 97%-იანი წილი უკავია. ნორვეგიის მოსახლეობა 5.4 მლნ-ა, გამოდის რომ **ნორვეგია ჰესებიდან 1 სულ მოსახლეზე 26 667 კვტ/სთ ელექტროენერგიას აწარმოებს, რაც თავის მხრივ საქართველოსთან შედარებით 11.96-ჯერ მეტია. 2020 წლის მდგომარეობით ნორვეგიაში 1681 ჰესი იყო აღრიცხული, მათგან 1000 წყალსაცავიანი. თუ შევადარებთ, 2020 წლის ბოლოს საქართელოში სულ 98 ჰესი ფუნქციონირებდა და მათგან მხოლოდ 7 იყო წყალსაცავიანი.** 2019 წლის მდგომარეობით, ნორვეგიაში, შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე, მსყიდველობითუნარიანობის პიარიტეტის მიხედვით 470 000-ს უდრიდა და აჭარბებდა ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, შეერთებული შტატები და ქუვეითი. ჰესებს ქვეყანაში ტურიზმისთვის ხელი არ შეუშლია. 2019 წელს ნორვეგიას 5.9 მლნ ტურისტი ეწვია და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 47 მლრდ-ს მიაღწია, ანუ იმაზე 2.1-ჯერ მეტს, ვიდრე საქართველომ.

ნორვეგიასთან შედარებით ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით კიდევ ერთ უმდიდრეს სახელმწიფოში, **შვეიცარიაში,** ჰესების წარმადობა შედარებით დაბალია — წლიურად 37 მლრდ კვტ/სთ, რაც საქართველოს მაჩვენებლს 4-ჯერ აღემატება. 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით კი 4277 კვტ/სთ, საქართველოსთან შედარებით 1.92-ჯერ მეტი. შვეიცარიაში შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე 472 000-ს აჭარბებს. მასზე მდიდარი მხოლოდ მაკაო, ლუქსემბურგი, სინგაპური და ირლანდიაა. **ტურიზმის განვითარებისთვის ჰესებს ხელი არც შვეიცარიაში შეუშლიათ, ქვეყანას 2019 წელს 12 მლნ ტურისტი ეწვია, სფეროდან მიღებულმა შემოსავალმა კი 421.3 მლრდ-ს მიაღწია, საქართველოსთან შედარებით 6.5-ჯერ მეტმა.**

ისლანდია თავის გეიზერებითაა ცნობილი. მოსახლეობის ნაწილი ბინებში პირდაპირ ცხელ წყალს ღებულობს, ქუჩების ქვეშაც ცხელი წყლის მილები გადის და თოვლის ახვეტის საჭიროება არ დგება. მიუხედავად ამისა, ისლანდიაში ჰესებისგან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობა გეოთერმულისას 2.5-ჯერ აღემატება და 13.5 მლრდ კვტ/სთ-ს აღწევს. **ისლანდიაში სულ 340 000 ადამიანი ცხოვრობს. რაც იმას ნისნავს, რომ ჰიდროგენერაცია 1 სულ მოსახლეზე 39 705 კვტ/სთ-ს შეადგენს, 17.8-ჯერ მეტს ვიდრე საქართველოში.** პატარა ისლანდიაც ერთ-ერთი უმდიდრესი ხელმწიფოა, სადაც შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე 460 000-ს აჭარბებს.

ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მემარცხენეების იდეალი **შვედეთია,** სადაც წლიური ჰიდროგენერაციის დონე 62 მლრდ კვტ/სთ-ს აღწევს. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ერთ სულ მოსახლეზე 6138 კვტ/სთ გამოდის, რაც საქართველოს მაჩვენებელს 2.75-ჯერ აღემატება. შვედეთში შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე 457 000 შეადგენს.

ჰესების სიმრავლით გამოირჩევა **ავსტრიაც**. პირველი ჰესი ამ ქვეყანაში 1884 წელს გაისნა და დღეს მათი რიცხვი 3000-ს აჭარბებს, უმრავლესობა ძალიან მცირე სიმძლავრისაა, თუმცა კოლბრეინის ჰესი 1.028 გიგავატიანია ნამახვანთან შედარებით 2.37-ჯერ მეტი. ავსტრია წლიურად 42 მლრდ კვტ/სთ-ს აწარმოებს. 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 4667 კვტ/სთ-ს. საქართველოსთან შედარებით 2.09-ჯერ მეტს. შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე ავსტრიაში 460 000-ს აჭარბებს. ტურისტების რაოდენობა კი 28 მლნ-ს, საიდანაც ქვეყანა 430 მლრდ-ის შეოსავალს ღებულობს.

იმ საქართველოზე უფრო მდიდარი ქვეყნების ნახვა, რომლებიც 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ჰიდრორესურსებისგან საქართველოზე უფრო მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ ევროპის საზღვრებს გარეთაც შესაძლებელია. ამ ქვეყნებს წარმოადგენენ უმთავრესად კანადა: 10 265 — კვტ/სთ და ახალი ზელანდია — 5360 კვტ/სთ.

> **ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან არსად, არც ერთ ქვეყანაში არც კაშხალი ჩამონგრეულა, არც ეკონომიკა ჩამოქცეულა და არც ტურიზმი. მთლიანად ერთ სფეროზე, მათ შორის ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება, რა თქმა უნდა არასწორია, მაგრამ საქართველოს მხრიდან ჰიდრორესურსებზე უარის თქმა, დაახლოებით იგივეა, ყატარმა რომ ნავთობის ჭაბურღილები დახუროს, უფრო მეტიც რანაირადაც არ უნდა შევატრიალოთ საკითხი, ჰესი განახლებად ენერგიას განეკუთვნება და წიაღისეულისგან განსხვავებით 50 წლის შემდეგ მისი ადგილი ისევ იქნება.**

მზისა და ქარის ენერგიის ეკონომიკურად მომგებიანი პოტენციალი საქართველოში 4 მლრდ კვტჰსთ-ს შეადგენს, რაც ცოტა არაა, მაგრამ არც საკმარისია. არის მეორე პრობლემაც, ამ რესურსის ათვისება სრულად მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ იარსებებს სარეზერვო სტაბილური სისტემა: წყალსაცავიანი ჰესის, თბოსადგურის ან ატომური ელექტროსადგურის სახით. გარდა იმისა, რომ მზე ღამით არ ანათებს, დღის საათებშიც კი გამომუშავება არასტაბილურია, ღრუბლის მოფარებისაც მცირდება, მოცილებისას ისევ იზრდება, ასეთი რყევები ქსელში დაბალანსებას საჭიროებს.

> **„ტერიტორიების გაყიდვა“ და „მიწის გაყიდვა“ პრინციპულად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ფრაზებია, მიწის გაყიდვის შემდეგ, ტერიტორიის გასხვისებისგან საპირისპიროდ, გაყიდულ მიწაზე სახელმწიფო კანონები ნარჩუნდება. მიწის მფლობელი იხდის გადასახადს, ემორჩილება სახელმწიფოში არსებულ კანონმდებლობას და დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხსაც აგებს. მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, სახელმწიფოს დაჯარიმების შემდეგ ინვესტორის გაძევების ბერკეტიც რჩება. ინვესტორი ქართველი იქნება, თურქი თუ არგეტინელი რიონის ხეობა საქართველო იქნება, დღესაც 10 წლის შემდეგაც და 99 წლის შემდეგაც.**

რა მიზანიც არ უნდა ამოძრავებდეს ჰესების მოწინააღმდეგეებს, ჰესების შეჩერება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებასა და ენერგოდამოკიდებულების, მათ შორის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების ზრდას ნიშნავს.

გიორგი ელიზბარაშვილი

სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი ტურისტების მისაღებად მზადაა!

ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გააკეთა. ლაშა ხუციშვილი საბაჟოზე პროცედურების მიმდინარეობასა და კონტროლის ღონისძიებებსაც გაეცნო. ე.წ. კომენდანტის საათის გამო საბაჟო განსხვავებული რეჟიმით, 10:00 დან 20:00 საათამდე მუშაობს. დროში შეზღუდვა არ ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს. საზღვრის კვეთა შესაძლებელია სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და PCR ტესტის უარყოფითი პასუხით. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ თურქეთში გადასვლა ერთი დღით — მათ 72 საათში განმეორებით PCR ტესტირება სჭირდებათ ან იზოლაციაში გადასვლა მოუწევთ.

საქართველოს საპატრიარქოს ისტორიის შემსწავლელი ცენტრი

გავაძლიეროთ სოფელი და სოფელი გადაგვარჩენს ჩვენ!

მარიამ ლორთქიფანიძის ხსოვნას მიეძღვნა

ორმოცი წლის წინათ, 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია (ის, სამწუხაროდ, საუნივერსიტეტო „რეფორმამ“ შეიწირა), რომელმაც არსებობის 20 წლის განმავლობაში ნაშრომების 5 ტომი გამოსცა. ოთხი ათეული წლის თავზე კი საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელმა სამეცნიერო ცენტრმა სწორედ იმ დიდი საქმის გასაგრძელებლად მოამზადა და გამოსცა სამეცნიერო ნაშრომთა მე-2 ტომი („მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“).



კრებული აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ხსოვნას ეძღვნება, ამიტომაც ის იხსნება საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის სულისჩამდგმელისა და დამფუძნებლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გულისტკივილით აღსავსე იმ სამძიმრის წერილით, უწმინდესმა და უნეტარესმა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო მისი ოჯახის წევრებსა და ჭირისუფლებს რომ გაუგზავნა: **„იგი სამაგალითო იყო სიბრძნით, ცოდნით, მამულიშვილობით, ღვთის სიყვარულით. ცოტამ თუ იცის, რომ მას ბოლო დროს მონაზვნად აღკვეცის სურვილი ჰქონდა, თუმცა ეს ვერ განხორციელდა, მაგრამ ღვთის წინაშე სურვილიც კი შეიწირება. აღვავლენთ ლოცვებს ქალბატონი მარიამის უკვდავი სულისთვის, რათა უფალმა სავანესა მართალსა დააწესოს იგი. ხოლო მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოგანიჭოთ მშვიდობა და ურყევი რწმენა იმისა, რომ ცხოვრება არ მთავრდება სიკვდილით, არამედ იგია დასაწყისი მარადიული ჭეშმარიტი სიცოცხლისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ“ (2018).**

კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ნათლად იგრძნობა ის სულისკვეთება, რომლითაც საქართველოს პატრიარქის 2019 წლის 8 დეკემბრის საკვირაო ქადაგებაა განმსჭვალული სოფელთან დაკავშირებით: „თქვენს მამულს, თქვენს მიწას უნდა მიხედოთ. ხელიდან გვეცლება მიწა-წყალი... დაამუშავეთ საკარმიდამო მიწები, გააძლიერეთ სოფელი და სოფელი გადაარჩენს ჩვენს ხალხს... იყოლიეთ პირუტყვი, საქონელი, ცხვარი... ეს დიდად წამოსწევს სოფელს ეკონომიკურად და, პირიქით, იგი დაეხმარება ქალაქს“... უწმინდესისა და უნეტარესის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვავალდებულებს უფლის წყალობით, სიყვარულით, რწმენითა და ერთგულებით მივხედოთ სოფელს და პატივი ვცეთ მის ისტორიას.

II ტომში შესულია ტარიელ ფუტკარაძის აჭარის (შუახევის შუბანი), იოსებ ალიმბარაშვილის (ატენის „ქუეყანა“), დავით ახლოურის (სოფელი წირქოლი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში), მურად მთვარელიძის (ჩემი „ბიბლიური“ სოფელი), ნიკოლოზ ოთინაშვილის (ქსნის ხეობის ძეგლები) და გიორგი სოსიაშვილის (სოფელი გერი და გერის წმინდა გიორგის ტაძარი) საინტერესო ნაშრომები, რომლებიც გამიზნულია როგორც სპეციალისტებისთვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, სამწუხაროდ, კრებულის გამოსვლას ვერ მოესწრო. დანარჩენი ავტორები საქართველოს წამყვან სასწავლო, სამეცნიერო და სამუზეუმო დაწესებულებებში მოღვაწეობენ.

კრებულის რეცენზენტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე სერგო ვარდოსანიძე; მე-2 ტომის რედაქტორი გახლავთ ენათმეცნიერი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვაჟა დანელია.

სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის მომზადებაში მონაწილეობდნენ მიხეილ ხომერიკი, გოჩა ხარებავა, ნუნუ დუმბაძე და ირაკლი უშვერიძე; მისი გამოცემა ფინანსურად უზრუნველყვეს სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მამულიშვილებმა — გიორგი ნადარაიამ და თემურ არბოლიშვილმა; კრებული დაკაბადონდა და დაისტამბა გამომცემლობა „უნივერსალში“.

დაბოლოს, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი და სამეცნიერო შრომათა კრებულის („მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“) რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, ეთნოლოგებს, ეთნოგრაფებს, ფილოლოგებსა და აგრონომებს... როგორც გამოცდილ, ისე დამწყებ მეცნიერებს (დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს), რომელნიც მუშაობენ ან სურთ იმუშაონ სოფლების, ნასოფლარებისა და გვარების ისტორიების, ტოპონიმიკისა და მიკროტოპონიმიკის, სოფლის მეურნეობის, აგრარულ მეცნიერებათა, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და შიდამიგრაციის აქტუალურ პრობლემებზე. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ სოფელში გლეხკაცის დაბრუნებას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისათვის სოფლის მეურნეობის დარგთა აღორძინებას.

იოანე (მამუკა) ცუხიშვილი

მონაზონი, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, სამეცნიერო შრომათა კრებულის მთავარი რედაქტორი, პროფესორი.

თაბორის მამათა მონასტერი

„დამოუკიდებლობისა და გაუნათლებლობის 30 წელი“

„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“ — საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 27.

როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის 30-ე წლისთავს ვზეიმობთ, ყველაზე ლოგიკური კითხვა, რომელიც საქართველოს გულშემატკივარ მოქალაქეს აწუხებს ამ ღირსშენასანიშნავ დღეს, ორ სიტყვაში შეიძლება გამოიხატოს: **„რას მივაღწიეთ?“**

სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს!

> **იმაზე ღარიბები ვართ, ვიდრე ვიყავით დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, 1991 წლის 9 აპრილს და იმაზე მეტი გლახები და მონები ვართ, ვიდრე მაშინ, როდესაც ჩვენი სიღატაკის ფორმულას წერდა ქართველთა ხასიათის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე დიდი ქართველი დიმიტრი უზნაძე.**
>
> **წლების განმავლობაში, საქართველო მსოფლიო განათლების დონის სხვადასხვა საერთაშორისო კლასიფიკაციაში სრულიად სამარცხვინო ბოლო ადგილებზეა და, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც 2012 წლის შემდეგ, ერთ მილიარდ ლარზე მეტით გაიზარდა განათლების ბიუჯეტი, ეს პირდაპირ პროპორციულად არ აისახა არც განათლების სისტემის ხარისხის ზრდაზე და არც საერთაშორისო რეიტინგებში მაჩანჩალა ქვეყნების რიგებიდან თავის დაღწევაზე.**

დღეს, ისევე როგორც გუშინ და როგორც ათეული წლების წინ პოპულარულია საზოგადოების მანიპულირება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენების პერსპექტივებით და ამით უსინდისოდ აგრძელებენ სარგებლობას ყველა ჯურის ხელმოცარული პოლიტიკოსები.

ჩვენ გვაქვს ყველაზე ლამაზი მთები!
ჩვენ გვაქვს ყველაზე ჯანსაღი ჰაერი!
ჩვენ გვაქვს ყველაზე გემრილი სამზარეულო!
წყალი გავყიდოთ!
მწვანილი გადაგვარჩენს!
და ა.შ და ა.შ.

რა თქმა უნდა, თითოეულ ამ ლოზუნგში, სიმართლის დიდი და მცირე მარცვალი მოიპოვება, მით უფრო პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანის თვალსაწიერიდან, მაგრამ ლამაზ მთებსაც, ჯანსაღ ჰაერსაც, მწვანილის გაყიდვასაც და თავად პატრიოტიზმსაც კი მთავარი რაც სჭირდება საზოგადოებრივი და ეკონომიკური სიკეთის მოსატანად, მათი სიღრმისეულად გააზრების და საზოგადოებრივი სიკეთისათვის გამოყენების ცოდნაა.

აქსიომაა, რომ ყველაზე დიდი რესურსი, რომელის იმედიც რეალურად შეიძლება გვქონდეს, განათლებული საქართველოს მოქალაქეა.

არც ერთ ხელისუფლებას, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ფუნდამენტური სტრატეგია განათლების სისტემის რეფორმირებისთვის არ დაუდია.

> **სტრატეგია, სადაც ერთმანეთთან იქნებოდა შერწყმული ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებები და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები თუ გლობალური გამოწვევები!**
>
> **ფორმულა, როდესაც ჩოხა-ახალუხი, რეტროგრადობასა და ჰომოფობიასთან კი არ იქნებოდა ასოცირებული, არამედ ქვეყნებს შორის საზღვრების პირობითობის ეპოქაში, ჩვენს კულტურულ იდენტობას და გენეტიკურ შემწყნარებლობას ასახავდა.**
>
> **როდესაც არ შეგვეშინდებოდა დიდი ჰესების, უცხოელი ინვესტორების, აცრების და განსხვავებულობის.**
>
> **როდესაც უნიკალური ანბანის პატრონები მივხვდებით, რომ თანამედროვე სამყაროში მხოლოდ მშობლიური ენის ცოდნა საკმარისი არ არის და ინგლისურის უკეთ სწავლა, ისეთივე აუცილებლობა და საჭირო საქმეა, როგორც მე-19 საუკუნის საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნება იყო.**
>
> **როდესაც მივხვდებოდით, რომ: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“, უბრალო ნაცარქექიაობაა და მეტი არაფერი.**
>
> **როდესაც ეს ქვეყანა იმაზე მეტად გვეყვარებოდა, ვიდრე საკუთარი პიროვნული კეთილდღეობაა.**
>
> **როდესაც სკოლაში ბავშვებს პირველ ყოვლისა ადამიანების სიყვარულს ასწავლიდნენ.**

როდესაც...
როდესაც...
როდესაც...
ძნელია ?!
კი, რა თქმა უნდა, ძნელია!
შეუსრულებელია მისიაა?!
რა თქმა უნდა, არა!

„საქართველოს პროგრესი და განვითარება დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე, ხოლო ხარისხიანი განათლება კი ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესების და მდგრადი განვითარების საფუძველია“, — გვასწავლის ლაილა ომარგადი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში.

ეს ქალბატონმა ლაილამ რომც არ გვითხრას, ისედაც ყველამ ვიცით. ოღონდ მხოლოდ სადღეგრძელოებში.

ამირან გიგუაშვილი

სალხინოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლა-პანსიონის თანამშრომლები გაიფიცნენ

მარტვილისა და ჭყონდიდის ეპარქიაში, სალხინოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლა-პანსიონის სატრაპეზოს თანამშრომლები გაიფიცნენ. ისინი ხელფასის გაზრდას ითხოვენ.

როგორც გაფიცული თანამშრომლები აცხადებენ, ხელფასის 100 ლარით გაზრდას ელოდნენ, თუმცა მხოლოდ 44 ლარით მოუმატეს. მათი თქმით, დაპირება მიტროპოლიტ სტეფანესგან ჰქონდათ.

„ჭყონდიდის ეპარქიაში შემავალი სალხინოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის სასულიერო სკოლის პედაგოგების გაფიცვის ამბავი არ არის ტელევიზიების გადასაწყვეტი, ჩვენი გადასაწყვეტია და თავად მივხედავთ“, — განაცხადა სკოლა-პანსიონის ხელმძღვანელმა და მარტვილისა და ჭყონდიდის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი).

ᲛᲧᲐᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲓᲒᲔ, ᲡᲣᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲠᲑᲘᲜᲝ...



ᲡᲐᲓ ᲙᲝᲠᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ? — ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲯᲐᲖᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ „ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲨᲘ“ ᲐᲛ ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚ ᲠᲝᲛᲐᲜᲨᲘ ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ: „...ᲛᲘᲕᲐᲠᲔ ᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲖᲔ ᲛᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ, ᲕᲘᲠᲪᲮᲚᲘᲡᲤᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲐ (...) ᲦᲠᲣᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲐᲠᲤᲐᲢᲓᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲛᲝᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲤᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲕᲔᲔᲑᲐ. ᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲓᲒᲐ“, ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲐᲯᲓᲔᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲒᲒᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ: ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲑᲠᲓᲦᲕᲘᲜᲐᲕ ᲚᲝᲛᲡ?

ᲭᲐᲙᲚᲘᲜ ᲡᲘᲠᲐᲫᲔ

ᲕᲘᲔᲗᲜᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ: **„ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ“** ᲓᲐ **„ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐ“** ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲐᲚ.ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡᲐᲐᲝ.**

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ: ᲕᲘᲜᲪ **„ᲜᲐᲛᲬᲧᲔᲛᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ“** ᲓᲐ **„ᲔᲚᲒᲣᲯᲐ“** ᲓᲐᲬᲔᲠᲐ (ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ!), ᲘᲛᲐᲡ ᲓᲘᲐᲮᲐᲪ ᲫᲐᲚᲔᲓᲕᲐ **„ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲡᲐ“** ᲓᲐ **„ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐᲡ“** ᲨᲔᲗᲮᲕᲘᲗᲕᲐ.

ᲛᲐᲕᲐᲜᲜᲘ **„ᲓᲐᲗᲐ �თᲣᲗᲐᲨᲘᲐᲡ“** ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲐᲚᲛᲐᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ – ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲚᲐᲖᲦᲐᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ **„ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲡ“** ᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲓᲐᲝ!

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ: ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ „ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ“ ᲨᲔᲗᲮᲕᲘᲗᲕᲐ, ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲚᲘᲐ **„ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐᲡ“.**

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲢᲘ: **„ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ“ ᲗᲣ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ „ᲓᲐᲗᲐᲡ“.**

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲙᲘ ᲜᲔᲢᲐᲠᲫᲘ ᲘᲛ ᲙᲐᲚᲛᲝᲡᲐᲜᲡ, ᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲔᲯᲕᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ! (�გᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘᲡ „ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲓᲝᲜᲘ“).

ᲩᲕᲔᲜᲐ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ: **ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ: ᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ;** ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲢᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲛᲓᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲤᲝᲠᲘᲖᲛᲘᲪ: **ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲘ.**

ᲝᲦᲝᲜᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ,,ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲬᲕᲓᲝᲛᲐ, ᲐᲜᲣ ᲐᲥ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ Ს�პᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ.

ᲐᲛ ᲐᲚᲒᲔᲑᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐᲡ ᲚᲐᲛᲐᲛᲒᲡ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲯᲐᲙᲚᲘᲜ ᲡᲘᲠᲐᲫᲔ: ,,**ᲣᲜᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲑᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ წᲘᲜ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ. ᲛᲓᲔᲓᲠᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲐᲓ, ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ.**

ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲛ ᲘᲙᲘᲗᲮᲐ:

– ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲗᲣ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ?

ᲥᲐᲚᲛᲐ ᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲐᲘᲩᲔᲩᲐ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ:

– ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ?!

ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲐᲑᲚᲝ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲛ ᲛᲐᲦᲕᲐᲚᲐᲙᲣᲠᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲣ�გᲝ:

– ᲛᲔᲪ ᲛᲐᲜᲓᲐ ᲕᲐᲠ! �თᲣ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲬᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, **ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲘᲐᲓ, ᲙᲣᲑᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲢᲘᲚᲝᲡᲘ ᲐᲦᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲒᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲝ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ.**

ᲐᲡᲔᲐ ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ **„ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘᲡ“** ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ: **ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ – ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲖᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ!**

ᲓᲐ ᲐᲘ, Ქ-ᲜᲘ **ᲯᲐᲙᲚᲘᲜ ᲡᲘᲠᲐᲫᲔ** ᲚᲐᲛᲐᲛᲒᲡ ᲔᲡ ᲔᲜᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ, ᲗᲕᲐᲚᲜᲐᲗᲚᲘᲕ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲩᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲕᲘᲓᲝᲡ ᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲚᲐᲒᲘᲠᲘᲜᲗᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲔᲒ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲘᲐᲮᲐᲪ ᲫᲐᲚᲔᲓᲕᲐ **„ᲩᲔᲛᲘ ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ“,** ᲐᲜᲣ **„ᲯᲐᲖᲘ, ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲘᲓᲐ“** (ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ **„ᲐᲒᲝᲠᲐ“**).

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲥᲐᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ – ᲬᲘᲜ; **ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲪ ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚ ᲧᲐᲘᲓᲐᲖᲔᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ** (გვ. 43).

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲐᲜᲗᲣ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲖᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲣᲗᲘᲗᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲐᲗᲡ ᲯᲐᲖᲣᲠ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲪᲕᲚᲐᲖᲔᲐ ᲓᲐᲝᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲗᲐᲣᲠᲛᲓᲒᲔᲜᲘᲡ: ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ – ᲓᲐᲛᲞᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ **�გᲐᲥᲪᲔᲕᲐ**: �გᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ **ᲒᲐᲠᲑᲘᲡ** ᲓᲐ ᲢᲧᲔᲨᲘ ᲘᲓᲔᲑᲡ ᲑᲘᲜᲐᲡ; ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲧᲔᲨᲘ ᲘᲓᲔᲑᲡ ᲑᲘᲜᲐᲡ. ,,ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲠᲑᲘᲚ-ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲠᲐᲐ ᲐᲜ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ �გᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲬᲕᲘᲡ, ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲦᲕᲘᲫᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘᲐ“, – ᲬᲔᲠᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ (8); ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐ ᲛᲝᲮᲛᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲪᲘᲢᲐᲢᲔᲑᲘ: „ᲛᲧᲐᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲓᲒᲔ, ᲡᲣᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲠᲑᲘᲜᲝ“; „�გᲝᲠᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲛᲘᲕᲠᲑᲘᲗ ᲐᲠᲗ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲕᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲗ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ; ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲐᲛ „ᲤᲐᲣᲡᲢᲣᲠᲘ“ ᲘᲓᲔᲘᲡ – „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲐᲛᲘᲡ ᲘᲒᲘᲠᲫᲕᲘᲡ!“ – ᲝᲠᲘᲕᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲚᲝ�გᲘᲙᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ: ᲝᲠᲘᲕᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲖᲠᲝᲕᲜᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲐᲝ.

ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲛᲘ�გᲜᲔᲑᲐ �თᲔᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ: **„ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲐᲜ „ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲢᲐᲕᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ – ᲣᲒᲝᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲔᲡᲐᲮᲐ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲚᲗᲐ ᲐᲦᲠᲔᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐᲐ: ᲐᲛ ᲥᲛᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ Უ�პᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲒᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲛᲒᲘᲡᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲣᲚᲘᲐ“.** ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲯᲐᲒᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲞᲝᲥᲐᲛ, ᲛᲘᲡᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲛᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲘᲒᲣᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲤᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ“** (34).

ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲐ: **„ᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚ-�თᲐᲛᲐᲨᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲪᲕᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲜ ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ, ᲮᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲠᲙᲐᲡᲢᲣᲚᲘ, ᲮᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲠᲝᲢᲔᲡᲙᲣᲚᲘ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ“** (71). **ᲐᲛ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ – ᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲗᲐᲕᲘ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ – „ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ“** (85).

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲕᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ, ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ **„ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ“** ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ-ᲰᲔᲠᲝᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ, ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ **„ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐ“,** ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲔᲑᲐ (113).

ᲝᲠᲛᲐ ᲬᲘᲐᲦᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲨᲘᲤᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ: **„ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲒᲝᲠᲐ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲠᲐ, ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ – ᲓᲐᲗᲐᲡᲐ ᲓᲐ �გᲝᲠᲐᲡ – ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲘᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ“** (202).

ᲘᲛ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ **„ᲒᲝᲠᲐᲨᲘ“** ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘ

№ 119-120. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 2-3 ივნისი, 2021 წელი.

კალაძეს დაპირებების კარში გამარჯვების გოლები გააქვს!

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა

თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ საზოგადოებას ტრანსპორტის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ანგარიში წარუდგინა.

„პირადად მე, ასევე, ჩემს თანაგუნდელებს, იმ ადამიანებს, ვისაც უყვარს ჩვენი ქალაქი, ქვეყანა, ძალიან გვსიამოვნებს, როდესაც ვუყურებთ ქალაქს, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეფერხების გარეშე გადაადგილდება, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული პრობლემები. პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ქალაქში ჩნდება შესაბამისი ავტობუსის ზოლები იმისთვის, რომ ავტობუსებმა, მიკროავტობუსებმა უპრობლემოდ შეძლონ გადაადგილება, რადგან მარტო ავტობუსების განახლება და ახალი პარკი ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რომ ჩვენმა მოსახლეობამ მოახერხოს კომფორტულად მგზავრობა, თუ ავტობუსებს შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ ექნება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ეკომეგობრული ტრანსპორტი, რომელსაც ყველა თაობის ადამიანი იყენებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები მოძრაობენ და როგორც ვიზუალური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით, ჩვენი დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება“.

* * *

სატრანსპორტო პოლიტიკაში უპირატესობა ქვეითებს და ეკომეგობრულ ტრანსპორტს ენიჭება.

„ფაქტია, რომ გამართული სატრანსპორტო ქსელის გარეშე შეუძლებელია ქალაქი ურბანული თვალსაზრისით მოაწესრიგო, ხოლო მოძველებული ავტოპარკით გარემოსდაცვითი მიმართულებით ზრუნვა სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიდგომა იყო კომპლექსური, რათა ეკოლოგიურად სუფთა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა შეგვექმნა, დაგვემატებინა ახალი სერვისები და სატრანსპორტო პოლიტიკა არსებითად გაგვუმჯობესებინა.

სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, ჩვენს პროგრამაში უპირატესობა პირველ რიგში, ენიჭებათ ქვეითებს და ეკომეგობრულ ტრანსპორტს. შემდეგ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, რომლითაც ყოველდღიურად ასიათასობით ადამიანი გადაადგილდება, ბოლოს კი კერძო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს“.

* * *

„ნამდვილად მეამაყება, **რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული რეფორმები ხორციელდება. იცით, რატომ ვამაყობ ყველაზე მეტად ამ დაწყებული რეფორმით, რომელიც იმდენად მაშტაბურია, რომ დასრულებას წლები დასჭირდება? წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის დროინდელი სისტემა, რომელსაც ხელს ვერავინ კიდებდა თანმდევი პოლიტიკური რისკების გამო, ყველა თავს არიდებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, ოპონენტების მხრიდან კი პოლიტიკური დემაგოგიის ფრონტის გახსნას. მაგრამ ჩვენ გავრისკეთ და გადავდგით ეს ნაბიჯი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქალაქისთვის.**

მიმაჩნია, რომ სატრანსპორტო მიმართულებით, ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გამოსწორების დაწყება უდრიდა ერთგვარ შოკურ თერაპიას, მაგრამ რეფორმა საჭირო იყო თბილისისთვის და ჩვენ გავრისკეთ ამ გამოწვევასთან შეჭიდება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ თბილისელს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. ჩვენ ვარჩიეთ ქალაქის, მოქალაქეების ინტერესები და არა პოლიტიკურად მომგებიანი პოზა, ჩვენ პოპულიზმს საქმის კეთება ვარჩიეთ და ეს სითამამე, გნებავთ პატრიოტიზმი ნამდვილად მეამაყება“...

* * *

„მიხარია და მჯერა, **რომ როცა სატრანსპორტო რეფორმა დასრულდება არამარტო თბილისელები, არამარტო ჩემი გუნდი, არამედ ყველა მართლა ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანი, პოლიტიკოსებიც დაიფასებენ გაწეულ სამუშაოს. მჯერა, რომ უახლოეს მომავალში თბილისი დადგება სხვა ევროპული დედაქალაქების გვერდით გამართული სატრანსპორტო პოლიტიკით“,** — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ტრანსპორტის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტები თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ წარმოადგინა. მისი თქმით, ახალი სატრანსპორტო პოლიტიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის განახლება, ტრანსპორტის მართვის სისტემა, ავტობუსების პარკის განახლება, მიკროავტობუსების პარკის განახლება, მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია, ტაქსების რეფორმა, ზონალურ-საათობრივი პარკირება, ქვეითებისთვის პრიორიტეტის მინიჭება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მისი მოხმარების ზრდა, კერძო სატრანსპორტო საშუალებების მოხმარების მკვეთრი შემცირება და მულტიმოდალური, უსაფრთხო და კომფორტული ქუჩის დიზაინი.

ანგარიშის წარდგენაზე ასევე საუბარი შეეხო ქვეითებისა და ეკომეგობრული ტრანსპორტის ხელშეწყობისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს. კერძოდ, ქალაქის მასშტაბით 19 ლოკაციაზე განხორციელდა მიწისზედა გადასასვლელი ხიდების დემონტაჟი და მათ ნაცვლად მოეწყო შუქნიშნით რეგულირებადი ზებრა გადასასვლელები; მოეწყო და დაიხაზა ველოსიპედის 22-კილომეტრიანი განცალკევებული ზოლი; გატარებული ცვლილებების შედეგად, ამოქმედდა ელექტროსკუტერების გაზიარების სერვისი, რომელსაც თბილისში არაერთი კომპანია ახორციელებს.

ღონისძიებაზე თბილისის ვიცე-მერმა ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის განახლებაზე, რაც მოცდის დროს საშუალოდ 4 წუთამდე შეამცირებს.

პრეზენტაციაზე აღნიშნულთან დაკავშირებით ისაუბრა დედაქალაქის მერმაც. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საავტობუსე ზოლები არ მოეწყობა, ტრანსპორტის მიმართულებით გატარებულ რეფორმებს აზრი ეკარგება. კახა კალაძემ პირობა მისცა დედაქალაქის მცხოვრებლებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის თვალსაზრისით, თბილისში პრობლემა არასდროს დადგება. როგორც დედაქალაქის მერმა დასძინა, რეფორმას შემდეგი ეტაპებიც დაემატება.

„ამ მიმართულებით რეფორმა დასრულებული არ არის. იქნება შემდეგი ეტაპები, რაზეც ინფორმაციას მოგვიანებით მივაწვდით საზოგადოებასა და ტაქსის მძღოლებს, რათა ეს სერვისი და მიმართულება, რომლითაც ძალიან ბევრი ადამიანი სარგებლობს, იყოს გამართული და მოწესრიგებული, ავტომობილები იყოს სუფთა, რომ ადამიანს სიამოვნებდეს ტაქსით მგზავრობა დედაქალაქში. სწორედ ამიტომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს მომავალში“...

ირაკლი ხმალაძის განაცხადებით, რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგიროს აღდგენა-მშენებლობაზე სატენდერო პროცედურები დასრულებულია და უახლოეს მომავალში სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. მისივე თქმით, სამშენებლო სამუშაოები 22 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

„რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია საბაგირო დერეფნები, რომელიც გენერალური გეგმით დადგინდა. ეს არის სარაჯიშვილი-ზღვისუბნის საბაგირო დერეფანი 2,5 კმ სიგრძით და ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის საბაგირო დერეფანი 3 კმ სიგრძით. ორივე დერეფნის მეშვეობით დღის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 48 000 მგზავრობა. პროექტის განხორციელებას დედაქალაქის მერია საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით უზრუნველყოფს“...

თბილისის მერმა დედაქალაქის მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

* * *

ტრანსპორტის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ანგარიშს ესწრებოდნენ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე,** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე,** საქართველოს პარლამენტის, დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს წევრები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი დარგის სპეციალისტები.

◎ ელამი იუმორი

ჰაციოლები

ამ ცხოვრებისა ვერაფერი გამიგია. ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც პარლამენტში დეპუტატად სულ გრიალით აირჩიეს, საკანონმდებლო ორგანოში ჯერ არც დამჯდარიყო, ისე გამოიქცა.

— რა მოგარბენინებდა, — ვუსაყვედურე, — პასუხისმგებლობას გამოექეცი, არა?

— პასუხისმგებლობა რომ ჭარბად მქონდა, სწორედ მაგიტომ დავახვიე.

— ვერ გავიგე?!

— რა ვერ გაიგე, ძმაო, ჩემი ადგილი აქ არი — ბიზნესში და არა იქ — სალაყბოში.

— მერე, მასე ძალიან თუ მოგწონს, ყოფილიყავი ამ შენ სანუკვარ ბიზნესში, პარლამენტარობას ვინ გაძალებდა?

— რა დაძალება მინდა, მე ხომ პატრიოტი ვარ!

— პატრიოტი?

— ჰო, პატრიოტი. უნდა გამიგო, როცა ქვეყანას და მთავრობას უჭირს, მე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ვერ ვივლი.

— მასეთი რა გაუჭირდათ?

— ვერცა ხვდები, არა? მე და ჩემნაირი პატრიოტები რომ არ მივხმარებოდით, მთავრობის ერთიანი გუნდი ახლა შაბზე გამგზავრებული იქნებოდა.

— იქნებ მითხრა, რით მიეხმარეთ?

— ყველაფრით — სიტყვითაც და ფულითაც — ამომრჩევლების წასახალისებლად და ხმების მოსაგროვებლად. იმ გაჭირვების ჟამს ხელისუფლებას გვერდით რომ არ დავდგომოდით, ეს ჩვენი სათუთად ნაგები დემოკრატია წყალგაღმა დაგვრჩებოდა.

— ყოჩაღ, ძმაო, — შევაქე, — ზოგი შენ ადგილზე იძუნწებდა.

— არა, ძუნწი თუ ხარ, პატრიოტი ვეღარ იქნები, სწორედ მაგაში ვლინდება ჩემი ერთგულება ქვეყნისადმი, რომ ჯიბეზე ხელის გაკვრა არ მეზარება.

— ეს თქვენ, ბიზნესმენები, მაგრამ პატრიოტი პოლიტიკოსებიც ხომ გყავს?

— ვითომ გვყავს კი?

— როგორ, კაცო, პარტია „პატრიოტთა ალიანსში“ გაერთიანებული პოლიტიკოსები განა პატრიოტები არ არიან?

— ეგენი მოლაპარაკე, უფრო სწორად, ლაპარაკით პატრიოტები არიან.

— აბა ახლა ირმა ინაშვილს ჰკითხე, თუ არ არის პატრიოტი. არ მოგისმენია რას ლაპარაკობს? არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ახლა ამ უნიათო და უქნარა მთავრობის მაგივრად ხელისუფლებაში ჩვენ ვიქნებოდით და დამშეული ქვეყნის მაგივრად აყვავებული საქართველო გვექნებოდაო.

— ხომ გეუბნები, ეგენი მოქალაქე პატრიოტები არიან. შედეგად რა უჭირავთ ხელში? — არაფერი.

— მასე, კაცო, თავის დროზე შედეგი არც მენშევიკურ მთავრობას დაუდია, მაგრამ განა ისინი პატრიოტები არ იყვნენ?

— მათ პატრიოტიზმს უფრო ემოცია კვებავდა, ვიდრე რეალობა. მათ ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლათ და სამშობლოსთვის თავი გაეწირათ, საზღვარგარეთ გაქცევა ამჯობინეს, თანაც თუ რამ განძეული გააჩნდა ქვეყანას, მოხიკეს და თან წაიყოლეს. იმ განძეულის მხოლოდ მცირე ნაწილის (რაც განიავებას გადაურჩა) დაბრუნებაღა შეძლო საქართველომ მას შემდეგ, რაც საქმეში სტალინი ჩაერია.

— კი მაგრამ, სხვების პატრიოტიზმი რომ საქილიკოდ გაგიხდია, შენ თვითონ რისი გამკეთებელი ხარ?

— როგორ თუ რისი, საწარმოს მეპატრონე ვარ, ხალხი მყავს დასაქმებული, ქვეყანას კარაქით ვამარაგებ.

— კარაქს რისგან იღებ, ალბათ, ფერმაც გექნება.

— ფერმა კი არა და, საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოზიდული მარგარინის მეტი რა ყრია.

— მერე, მარგარინს კარაქად ასაღებ, შე ყურუმსაღო?

— არა, მაგას როგორ ვიკადრებ, უბრალოდ მარგარინს ცოტა კარაქს ვამატებ, ფირმიან ქაღალდში ვფუთავ და ჰერი...

— რომ შეგამოწმონ, მერე სად გარბიხარ?

— გიჟი არ იყო, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ყველა მაკონტროლებელი ორგანო გააუქმეს და შესამოწმებლად ინგლისიდან ხომ არ ჩამოვლენ? მალე ახალ ბიზნესსაც წამოვიწყებ — ფოლადით გამდიდრებული პურის გამოცხობას ვაპირებ, მინდა ხალხის ჯანმრთელობა ფოლადივით გამოვაწრთო...

* * *



როგორც ხალხში ამბობენ ხოლმე, ნეტარ არიან პატრიოტები, უფრორე ცრუპენტელები, რამეთუ თავი ქვეყნის აღმშენებლებად წარმოუდგენიათ.

ოთარ ხუციშვილი

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲗᲣᲙᲘ ᲬᲔᲚᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ?

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ 20 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲛᲘᲘᲦᲝ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲬᲔᲕᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲗᲛᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲒᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲙᲝᲕᲘᲓᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲨᲔᲫᲚᲝᲜ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡ, ᲙᲐᲠᲒ ᲔᲞᲘᲓᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲧᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ.

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ?

ᲐᲮᲐᲚᲘ რეკომენდაციის მიხედვით, ევროკავშირს გარეთ მყოფი ქვეყნებიდან მოქალაქეები იმ შემთხვევაში შეძლებენ ევროპაში შესვლას, თუ მათ ქვეყანაში ბოლო ორი კვირის განმავლობაში COVID-19-ით 100 000 კაცზე მაქსიმუმ 75 არის დაავადებული. აქამდე ეს რიცხვი 25 ადამიანს შეადგენდა.

ამასთანავე, ევროკავშირი გაითვალისწინებს შემსვლელის ქვეყანაში გავრცელებულ სხვადასხვა შტამს.

მსჯელობენ იმაზეც, რომ მომავალში შესაძლოა ევროკავშირმა არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებს იმ შემთხვევაშიც დართოს შესვლის ნება შეზღუდვების, კარანტინის და PCR ტესტის გარეშე, თუ ეს მოგზაურები ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA) მიერ დამტკიცებული ვაქცინით იქნებიან აცრილი.

შეიძლება კარანტინი და ტესტირება არც მათ დასჭირდეთ, ვინც მოგზაურობამდე 14 დღის განმავლობაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საგანგებო მოხმარებისთვის განთავსებული ვაქცინითაა აცრილი. ჯერჯერობთ ეს ბოლო ორი შესაძლებლობა მხოლოდ განიხილება და არ მოქმედებს. თუ არაწევრ ქვეყანაში ეპიდსიტუაცია მკვეთრად გაუარესდება, წევრი ქვეყნები იტოვებენ უფლებას, კვლავ შემოიღონ შეზღუდვები.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ?

ᲐᲮᲐᲚᲘ შემთხვევების სტაბილურად დაღმავალი ტენდენცია, ტესტირებების რაოდენობა, 4 % პოზიტიურობის მაჩვენებელი, ყველა ჩატარებულ ტესტზე, COVID-19-ზე ქვეყნის რეაგირება და ქვეყნის ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ ინფორმაციის სანდოობა.

შესაძლებელია ორმხრივი შეთანხმებაც. ასეთ შემთხვევაში წევრი ქვეყანა პირდაპირ უთანხმდება ევროკავშირის გარეთ მყოფ ქვეყანას, რა რეგულაცია იმოქმედებს მათი მოქალაქეებისთვის მოგზაურობის დროს.

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ?

ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ მაჩვენებლებით საქართველო ჯერ კიდევ შორსაა ევროკავშირის რეკომენდაციისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგისგან: საქართველოში დადებითობის ბოლო 14 დღის მაჩვენებელი ამჟამად 4.46 %-ია ხ21 მაისიჯ, რაც ევროსაბჭოს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. რაც შეეხება დადასტურებული დიაგნოზების რაოდენობას 100 000 სულ მოსახლეზე, რადიო თავისუფლებას დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, პაატა იმნაძემ, ასე უპასუხა:

„ევროკავშირი ორკვირიანით ითვლის (ამ მონაცემს), ჩვენ – ერთკვირიანით. ერთკვირიანი საკმაოდ მაღალი გვაქვს, ორჯერ მეტი გვაქვს ორკვირიანზე, ამიტომ ამ კრიტერიუმს ვერ დავაკმაყოფილებთ“.

პაატა იმნაძის პროგნოზით, საქართველო „მწვანე ქვეყნების“ რიგს ივნისის მეორე ნახევრისთვის შეუერთდება, თუმცა რა არგუმენტებზე დაყრდნობით აქვს ოპტიმისტური პროგნოზი, აღარ განმარტავს.

ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ვინაიდან ევროკავშირის წევრი ქვეყნები ორმხრივობის პრინციპს ითვალისწინებენ, შესაძლოა, შეზღუდვები მოგვიხსნას უნგრეთმა.

„ჩვენ და უნგრეთს გვაქვს ერთმანეთის ვაქცინაციის ცნობა. კი, არის ქვეყნები, სადაც ახლა ჩინურ ვაქცინას არ აღიარებენ, მაგრამ მგონია, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე შეიცვლება“.

ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲔᲑᲘ – ევროკავშირის წამლის საგენტო (EMA) ვაქცინებს საკუთარ ავტორიზაციას ანიჭებს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისგან განცალკევებით. EMA-ს აღიარებული ვაქცინებია Pfizer/BioNTech, Moderna, AstraZeneca და Johnson&Johnson.

ევროსაბჭო უშვებს, რომ შეზღუდვებს მოუხსნის ჯანმოს მიერ საგანგებო მოხმარებისთვის განთავსებულ ვაქცინებსაც. საქართველოში ეს Pfizer/BioNTech, AstraZeneca და **„სინოფარმია“**.

საქართველოში ხელმისაწვდომი ვაქცინებიდან აღიარება არ მიუღია მხოლოდ „სინოვაკს“, რომლითაც აცრა უკვე დაიწყო. ჩინური წარმოშობის „სინოვაკის“ მწარმოებელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დამატებითი დოკუმენტაცია მოსთხოვა. „სინოვაკს“ განიხილავს ევროპის წამლის სააგენტოც.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ“ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲙᲝᲕᲘᲓᲞᲐᲡ�პᲝᲠᲢᲘ“

ᲔᲕᲠᲝᲡᲐᲑᲭᲝ მუშაობს ციფრული მწვანე სერტიფიკატის შემოღებაზე, რომელიც სპეციალური აქტის შემდეგ თანხვედრაში მოვა არაწევრი ქვეყნების აცრის სერტიფიკატებთან. სანამ ეს მოხდება, წევრ ქვეყნებს უნდა შეეძლოთ მიიღონ ამ ქვეყნის მოქალაქეები მონაცემების წარდგენის საფუძველზე. თავშივე იგულისხმება, რომ მონაცემები სანდო და გადამოწმებულია.

ეს არ ნიშნავს, რომ ვალდებული იქნებით, ევროკავშირის ქვეყნებს თქვენი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოთ. ევროკომისიის მითითებით, „მწვანე სერტიფიკატი“ მხოლოდ აუცილებელ, ლიმიტირებულ მონაცემებს უნდა შეიცავდეს და შემოწმდება მხოლოდ დოკუმენტის ნამდვილობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები კი მხოლოდ დოკუმენტის გამცემ სახელმწიფოში რჩება.

ქართული „კოვიდპასპორტის“ კონცეფცია უკვე შემუშავებულია. ის მოიცავს პერსონალურ ინფორმაციას: მოქალაქის სახელს, დაბადების თარიღს, ინფორმაციას იმის შესახებ, გაკეთებული აქვს თუ არა კოვიდვაქცინა და რომელი, გადატანილი აქვს თუ არა კორონავირუსი, PCR ტესტის პასუხი ბოლო 72 საათის განმავლობაში. კოვიდპასპორტს ექნება აპლიკაციის ფორმა, რომელსაც მომხმარებელი Google Play-დან და App Store-იდან გადმოიწერს. ასევე, შესაძლოა შემოიღონ ბეჭდური დოკუმენტი QR კოდით.

საქართველოს ხელისუფლება აპირებს, რომ ივნისის ბოლომდე აცნობოს საზოგადოებას, როდის გაიცემა კოვიდპასპორტი, და გაასაჯაროოს დეტალები.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲩᲥᲐᲠᲔᲣᲚᲘ

ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲓ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ...

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ, ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲪ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲝᲗ. ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ.

ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲗ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲗᲣᲙᲘ სხვა ქალაქში საზოგადოებრივი ან კერძო ტრანსპორტით მიდიხართ:

1. ეცადე იპოვო თავისუფალი ადგილი და დაიცვა დისტანცია შენთვის უცნობი ადამიანებისგან;

2. არ მოიხსნა პირბადე და გეკეთოს ისე, რომ ცხვირს და ნიკაპს ფარავდეს;

3. თუკი ავტომანქანა სავსეა და სხვა მგზავრებისგან თავს შორს ვერ იჭერ, გააღე ფანჯარა, თუ შორსაა, მძღოლს სთხოვე გაღება. სივრცის ხშირი განიავება მნიშვნელოვნად ამცირებს ინფიცირების რისკებს;

4. სადეზინფექციო ხსნარი ჩანთაში და ხელების დაბანა ისევ ძალაში რჩება.

ᲛᲗᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔᲡ ᲕᲘᲮᲡᲜᲘ?

ᲗᲣᲙᲘ მთაში ხარ სუფთა ჰაერზე და ირგვლივ უცხო არავინაა, შეგიძლია მოიხსნა პირბადე და ღრმად ისუნთქო. სადაც არ უნდა იყო, მოერიდე პირბადის გარეშე ისეთ ადამიანებთან კომუნიკაციას, რომლებთანაც ყოველდღიური შეხება არ გაქვს და ერთ „კლასტერად“ არ ითვლებით.

საზაფხულო ბანაკებში წასვლისგან წელს თავის შეკავებას გვირჩევს ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა, ვინაიდან როდესაც ბევრი ბავშვი ერთად იყრის თავს, ძნელია წესების დაცვა. თუკი მაინც გადაწყვიტეთ ლაშქრობაში ან ბანაკში წასვლა, არ დაგავიწყდეთ, რომ დისტანციის დაცვაზე ისევ უნდა იფიქროთ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲐᲓ�გᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲪ...

ᲙᲐᲤᲔᲔᲑᲘ, ᲑᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ, ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ – ძნელია დასვენების დროს ამ დაწესებულებებში შესვლაზე უარის თქმა, მაგრამ უსაფრთხოდ და დაცულად თუ გინდათ იყოთ, ისე უნდა ჩაუაროთ მათ, ვითომ არ არსებობენ.

თუკი მაინც გადაწყვეტთ კაფეში დაჯდომას, ღია სივრცე აირჩიეთ.

CDC-ის გავრცელებულ რეკომენდაციებს – ვატაროთ პირბადე, დავიცვათ 2-მეტრიანი დისტანცია და ხშირად დავიბანოთ ხელები – ემატება რეკომენდაცია: აიცერი!

- ავტორიზებული ვაქცინები გიცავს COVID-19-ისგან
- როცა სრულად აიცრები, შეძლებ აკეთო ის, რასაც პანდემიის გამო ველარ აკეთებ. ალბათ, გახსოვთ, რომ სრულად აცრილად ვითვლებით მეორე დოზის გაკეთებიდან ორი კვირის შემდეგ, როცა უკვე გამომუშავებულია საჭირო რაოდენობის ანტისხეულები.

დაბოლოს, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ COVID 19-ით ინფიცირების რისკის შემცირება შესაძლებელია ყველა რეკომენდაციის დაცვით და უფრო მეტად უსაფრთხოდ ვიქნებით, თუ ორი დოზით ვაქცინირებულები წავალთ დასასვენებლად.

ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲪᲣᲠᲕᲘᲡᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐ ᲗᲐᲕᲘ?

ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲪ დისტანციის დაცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სანაპიროზე სეირნობას, გარუჯვას და ცურვასაც კი მოერიდეთ მაშინ, როცა ბევრი ხალხია თქვენ გარეშემო.

„(პორტუგალიაში) სანაპიროზე რუჯის მიღებისას პირბადეს იხსნიან, თუმცა როდესაც გადაადგილებას აპირებენ, ყველა იკეთებს პირბადეს. მნიშვნელოვანია, ერთი ოჯახი დისტანცირებული იყოს სხვა ოჯახის წევრებისგან“, – გვიხსნის **პაატა იმნაძე.**

ცურვის დროს პირბადეს არ იყენებთ, უფრო მეტიც, იცოდეთ, რომ პირბადე ამ დროს სახიფათოა. ვინ იცის, ამ ზაფხულის ბოლოს სახეზე ნიღბების რუჯი გვედოს. ამირან გამყრელიძემ რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ ჯერჯერობით პირბადის ტარება ზღვაზეც აუცილებელია. **„ვნახოთ, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და აცრების პროცესი როგორ განვითარდება“,** – შანსი იმისა, რომ ღია სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ იქნება, არსებობს, თუმცა ჯერ ნიღბებს ისევ ვატარებთ!

შესაძლებელია ყველაფერი ივნისის ბოლოს გაირკვეს. გააჩნია, როგორი წარმატებით წავა ვაქცინაცია. დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ მთავრობას სთავაზობენ მოსახლეობის 20 %-ის ვაქცინირების შემთხვევაში ღია სივრცეში პირბადე აღარ იყოს სავალდებულო.

ᲡᲐᲮᲛᲔᲚᲔᲗᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ შემსუბუქების მორიგი ეტაპი: 1 ივნისიდან საქართველოში სახმელეთო საზღვრები გაიხსნა და იმოქმედებს იგივე რეჟიმი, რაც დღემდე საჰაერო საზღვართან მიმართებაში მოქმედებდა.

კერძოდ, სახმელეთო საზღვრის კვეთა შესაძლებელი იქნება სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით, ან მხოლოდ ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით და ამ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იქნებიან, მესამე დღეს განმეორებით ჩაიტარონ PCR-ტესტირება. საზღვრების გარდა, შეზღუდვა ეხსნება სარესტორნო ბიზნესსაც.

რესტორნები და კაფე-ბარები სტუმრების მიღებას ამიერიდან შიდა სივრცეებში შაბათ-კვირასაც შეძლებენ. კვლავ სავალდებულო რჩება ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვა.

◎ მხარე

რაც არ ეკადრებათ

ამას წინათ სიხარულით გაუწყეთ, რომ 26 ივნისს „ბორჯღალოსნები“ ევროპის სარაგბო ერთა თასის დასკვნით შეხვედრაში ნიდერლანდებს თელავის „კავკასიონი არენაზე“ უმასპინძლებდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, საქმე გაცილებით სერიოზულად ყოფილა.

არადა, 2019 წლის დეკემბერში კახეთის ადმინისტრაციულ ცენტრში ახალი სარბიელის მშენებლობის პრეზენტაციაზე რიხიანად ითქვა, რომ გივი ჩოხელის სახელობის ულამაზესი სტადიონის პროექტი უკვე მზად იყო და ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობაც აქტიურად თანამშრომლობდა იქაურ მუნიციპალიტეტთან და საკრებულოსთან, რომ მშენებლობა რაც შეიძლება დროულად დაწყებულიყო.

პანდემიის გამო შეჩერებული შარშანდელი პრიორიტეტი ითვალისწინებდა 8 ათას მაყურებელზე გათვლილი კაპიტალური სპორტული ობიექტის აგებას, რომელსაც ექნებოდა გადახურული ტრიბუნები, განათების თანამედროვე სისტემა, ფიტნესდარბაზი, კვებისა და გუნდის საცხოვრებელი ბლოკები, თვით არენას კი უეფას მაქსიმალური კატეგორია უნდა დაემსახურებინა.

ქაღალდზე, იცოცხლეთ, ყველაფერი კარგად გამოიყურება, მაგრამ საინტერესოა, როდის დაიძრება საქმე ადგილიდან.

◎ როლან გაროსი

იწყებს და იგებს

წარმატებით ჩაება დიდი სლემის მთავარ საგრუნტო ტურნირში ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელმაც ოთხ პარტიაში სძლია რეიტინგში უშუალო მეზობელს, მსოფლიოს 39-ე სერბ ჩოგანს დუშან ლაიოვიჩს.

ეს მათი მეექვსე შეხვედრა და ქართველის მეხუთე გამარჯვება გახლდათ: პეკინში და ტორონტოში (ჰარდზე), კიცბიუელში (თიხნარზე) და ანტალიაში (ბალახზე) — მოგება და ერთადერთი წაგება უმაგის კორტზე (გრუნტზე).

სხვათა შორის, ჩვენს თანამემამულეს აქამდე პარიზში რვა ბრძოლა ჰქონდა გადატანილი და მხოლოდ ორი წარმატება ჰქონდა მოპოვებული, თანაც ხუთჯერ სტარტზევე გამოეთიშა ასპარეზობას და მხოლოდ 2017 წელს გავიდა მესამე რაუნდში. დღეს მეორე წრეში ნიკას 18 წლის ესპანელი კარლოს ალკარასი ელის.

◎ სკანდალი

„შესანიშნავი“ შვიდეული

სპორტულ **სამყაროს დღემდე ვერ მოუნელებია ნახევარი წლის წინათ ფეხბურთის ღმერთის დიეგო მარადონას დაკარგვა, უკვე იმქვეყნიური ლეგენდარული არგენტინელის სახელს კი ისევ სკანდალები უკავშირდება.**

ამჯერად საუბარია მისი დაღუპვის გამო ერთბაშად შვიდი ბრალდებულის ციხეში შესაძლო მოხვედრის შესახებ, რომლებსაც რვიდან 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, მათ შორის — პირად ექიმ ლეოპოლდო ლუკესა და პირად ფსიქიატრ აუგუსტინა კოსაჩოვაზე.

როგორც გაკვეთამ აჩვენა, უკმარისობის ფონზე გულის გაჩერების მიზეზი ფილტვის მწვავე შეშუპება გამხდარა, რასაც, ესპანური „მარკას“ მიერ მოპოვებული სან-ისიდოროს გენერალური პროკურატურის ანგარიშის თანახმად, აღმაშფოთებელი ფაქტები ემატება: **„გამოძიებამ არაადეკვატური, არასრულყოფილი და უგუნური უწოდა სამედიცინო ჯგუფის მოქმედებას, რომელიც 60 წლის ჯადოქრის გადასარჩენად იბრძოდა და მიაჩნია, რომ პაციენტის ჯანმრთელობა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული“.**

შეგახსენებთ, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თაობათა კერპი ტვინში ჰემატომით მოხვდა საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია ჩაუტარდა, ტრაგედიამდე 2 კვირით ადრე კი კლინიკიდან გაწერეს. ირკვევა, რომ ასეთ მდგომარეობაში იგი სახლში არ უნდა ყოფილიყო ექიმის 24-საათიანი მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე ვილასთან არ მორიგეობდა სასწრაფო დახმარებით მანქანა, ხოლო თვით ბინაში არ აღმოჩნდა დეფიბრილატორი.

სხვათა შორის, დოქტორ ლუკეს მაშინვე ადანაშაულებდნენ გულგრილობაში, რამაც ლეტალური შედეგი გამოიწვია, მაგრამ იგი შეუვალი გახლდათ: **„არანაირი სამედიცინო შეცდომა არ დაგვიშვია. ეს იყო გულის შეტევა. მსგავს შემთხვევებში ადამიანები უმეტესწილად ვერ გამოდიან მდგომარეობიდან. დიახ, საკუთარ თავს არაფერში ვადანაშაულებ. პირიქით — ვამაყობ იმით, რაც დიეგოსთვის გაკეთდა. დამიჯერეთ — რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი ვიღონეთ“.**

და ბოლოს: მარადონას სახლის ჩხრეკისას პოლიციამ დაადგინა, რომ ფეხბურთელი ისეთ პრეპარატებს იღებდა, რომლებსაც შესაძლებელი იყო ნეგატიური გავლენა მოეხდინათ მის გულზე.

მათ შორის დასახელდა ანტიდეპრესანტები და ანტიფსიქოტიპები, კერძოდ — კვეტიაპინი (დეპრესია, შიზოფრენია, ბიპოლარული აშლილობა), ჰაბაპენტინი (დიაბეტით ან ეპილეფსიით გამოწვეული ნეიროპათიური ტკივილები) და ნალტრექსონი (ალკოჰოლზე დამოკიდებულება).

მოკლედ, ძიება გრძელდება.

◎ ევროლიგა

ბოსფორელთა ბენეფისი

ცსკაში **გატარებული ევროლიგის სადებიუტო სეზონი თორნიკე შენგელიამ საუკეთესო პირადი სტატისტიკითა და ოთხთა ფინალში დაკავებული მეოთხე ადგილით დაასრულა.**

ეტორე მესინას გაწვრთნილ „მილანთან“ მესამე პოზიციისთვის გამართულ შეხვედრაში არმიელთა ქართველი ლეგიონერი პარტნიორებს 18 ქულით, 9 მოხსნითა და 3-3 ჩაჭრა-პასით შეეწია, თუმცა, ყოფილი თავკაცის შეგირდებთან მარცხისგან მაინც ვერ იხსნა — 73:83.

რაც შეეხება ტიტულს, მისი მფლობელი პირველად გახდა სტამბოლის „ეფესი“, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა „ბარსელონას“ 86:81 მოუგო.

აქსიომაა, რომ კალათბურთი გუნდური თამაშია, მაგრამ ამჯერად, უკვე მერამდენედ, დადასტურდა, რომ შეხვედრის ბედს მაინც სოლისტები წყვეტენ.

დიახ, კატასტროფული სტარტის შემდეგ — 15:25, საკმარისი იყო, ლარკინი და მიჩიჩი გააქტიურებულიყვნენ, რომ თურქულ კლუბს მეორე სუნთქვა გახსნოდა და მეტოქე დაეშამათებინა.

როცა ერქან ატამანის მიერ შექმნილი ანსამბლის ტრიუმფზე ვსაუბრობთ, რომელიც შარშანაც ჩინებულად გამოიყურებოდა და კორონავირუსის პანდემიამ შეუშალა ხელი მიზნის მიღწევაში, აუცილებლად უნდა შევაწიოთ ეპითეტები შანლის (უმძიმეს სტარტზე მხოლოდ ის აგროვებდა ქულებს „ეფესიდან“) და პლაისს, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში ზედიზედ ჩააგდო ბურთები კატალონიელთა კალათში როგორც შორეული, ისე საშუალო დისტანციებიდან.

იყო აგრეთვე სუბიექტური ფაქტორები, რამაც სტამბოლელთა წისქვილზე დაასხა წყალი და მათ წარმატება გაუადვილა. კერძოდ, გამაყუჩებლებით ჩაება მატჩში „ბარსას“ საკვანძო ფიგურა კალატესი, მაგრამ წინა შეხვედრაში მიღებულმა ტრავმამ საშუალება არ მისცა ლიდერობა ეტვირთა, ხოლო მიროტიჩმა ტურნირზე უსუსტესი თამაში ჩაატარა.

ყველაზე შედეგიანები: მიჩიჩი (25 ქულა, ოთხთა ფინალის MVP), ლარკინი (21 ქულა, „ეფესი“); ჰიგინსი (23 ქულა, „ბარსელონა“).

◎ 64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

„ჩემთვის ჭადრაკი მარტო თამაში კი არა, ხელოვნებაა“

ალექსანდრე ალიოხინი

(1892, მოსკოვი — 1946, პორტუგალია)

— — — — — — — — — — —

გენიალური რუსი მოჭადრაკე, IV მსოფლიო ჩემპიონი (1927-1935) ჭადრაკს 7 წლისა გაეცნო, ხოლო სერიოზული თამაში 14 წლის ასაკში დაიწყო. ცნობილი დაცვის ავტორი, თეორეტიკოსი და ლიტერატორი 1921 წელს შვეიცარიელ ჟურნალისტზე დაქორწინდა და მასთან ერთად იქ მუდმივად დარჩა. წარმომავლობა თავადური ჰქონდა, გამოირჩეოდა გარეგნობითაც.

მოგზაურობისას ყოველთვის თან ატარებდა თავის კატას, რადგან ფიქრობდა, რომ სასიამოვნო ბიოველს უქმნიდა.

სამშობლოს მონატრებამ გადაძლია და უყოყმანოდ დათანხმდა ბოტვინიკთან მატჩს მსოფლიო პირველობაზე, რომელიც 1946 წელს მოსკოვში უნდა გამართულიყო, მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი: სასტუმროში ყოფნისას უეცრად გარდაიცვალა ჭადრაკის დაფასთან.

მის დაღუპვას საინტერესო ფერ-ტილო მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა რენო თურქიამ. სხვათა შორის, მის მოულოდნელ აღსრულებასთან დაკავშირებით მრავალი ვარაუდი გამოითქვა, მათ შორის ისიც, თითქოს მოწამლეს! **„ალიოხინის საჭადრაკო ნაწარმოებები იცოცხლებენ საუკუნეებში, თანამედროვენი მისი შემოქმედებით უდიდეს კმაყოფილებას მიიღებენ და დარწმუნდებიან მის გენიაში“** — ამბობდა ლეგენდარული მიხეილ ბოტვინიკი.

მოამზადა

თამაზ შენგელიამ

— — — — — — — — — — —

ორივე ფლანგზე თამაში ალიოხინის საყვარელი სტრატეგიაა. გრიუნფელდი — ალიოხინი (1923)



30... ე *d*4 31.*fe*∂*f*4 32. *ef*ლC4 33.ლC4 ე*d*4 34.ლ*f*1ჯ*d*4

თეთრები სხვა ვარიანტებშიც ვერ აღწევენ თავს დამარცხებისაგან. გარჩევა თქვენთვის მოგვინდვია.

◎ მოკლედ

ძიუდო

ბაქო. პარაძიუდოისტთა სალიცენზიო მსოფლიოს თასი. „ოქრო“ — **გიორგი ქალდანი** (73 კგ), პარალიმპიადის ჩემპიონი **ზვიად გოგოჭური** (100 კგ); „ბრინჯაო“ — **ინა ქალდანი** (70 კგ).

სამბო

ლიმასოლი (კვიპროსი). ევროპის ჩემპიონატი სამივე ასაკობრივ კატეგორიაში. „ოქრო“ — **ბექა ბერძენიშვილი** (მძიმე წონა, უფროსებში, მეორედ), **ელიზბარ თურქია** (64 კგ, ახალგაზრდებში). სულ ჩვენმა გუნდებმა ჯამში 20 მედალი მოიპოვეს (2 „ოქრო“, 8 „ვერცხლი“ და 10 „ბრინჯაო“).

ჰოკეი

რიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ტურნირს ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი შვედეთის ნაკრები გამოეთიშა.

ფეხბურთი

თავისუფალი აგენტის სტატუსით **სერხიო აგუერო** მომავალ ორ სეზონს „ბარსელონაში“ გაატარებს.

* * *

23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთსა და სლოვენიაში დღეს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: **გერმანია-ნიდერლანდები** და **ესპანეთი-პორტუგალია.**

* * *

კოპა ამერიკა ბრაზილიაში გადაიტანეს, სადაც მატჩები უმაყურებლოდ ჩატარდება.

* * *

„რეალმა“, „ბარსელონამ“ და **„იუვენტუსმა“** სუპერლიგასთან დაკავშირებით უეფას წინააღმდეგ საპასუხო სარჩელი შეიტანეს.

გამოსათხოვარი

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი ქალბატონი **ციალა ხაჟალია-ანდრიაძე.**

ქალბატონი ციალა საქართველოში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებლის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი ანდრიაძის მეუღლე გახლდათ.

ციალა ხაჟალია დაიბადა 1930 წლის 1 სექტემბერს, ქალაქ სამტრედიაში. 1953 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართული ფილოლოგიის განხრით.

მუშაობდა პედაგოგად თბილისის 166-ე სკოლაში და აღზარდა მრავალი ღირსეული თაობა. სკოლაში ხელმძღვანელობდა საზოგადოება „ცოდნას“, რამდენჯერმე იყო ამ საზოგადოების ყრილობის დელეგატი. პარალელურად, ქართულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს აღმზრდელობით საკითხებზე, წერდა მოთხრობებს, ნოველებს, ჩანახატებს...

მხარში ედგა საზოგადოება „თბილისელს“ არაერთ საინტერესო წამოწყებაში. იყო საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობის“ წევრი.

ცნობილია მისი ქველმოქმედების შესახებ — მონაწილეობდა სოციალური და ჰუმანიტარული ცენტრის ღონისძიებებში. უყურადღებოდ არ მიატოვებდა შეჭირვებულ ადამიანებს, სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა.

ციალა ხაჟალია იყო საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, არჩეული იყო ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად. სკოლაში გაწეული პედაგოგიური ღვაწლისთვის მინიჭებული ჰქონდა საპატიო პედაგოგის წოდება, „წმიდა ანთიმოზ ივერიელის“ საპატიო მედალი , სიგელი „წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში თანადგომისათვის“, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მინიჭებული ჰქონდა „თამარ დედოფლის ენდალმა“ და სხვა.

მათი ოჯახი ყოველთვის საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენების ცენტრში იყო და ის, რაც ქალბატონი ციალას თვალწინ ხდებოდა და ტკივილად თუ სიხარულად სულში ილექებოდა, შემდეგ ამ ნიჭიერი ქალის წყალობითფურცლებზე იწერებოდა და წიგნებად იკინძებოდა.

ასე იშვა მისი წიგნები: „წერილები“, „ქალის სათქმელი“, „თბილისის პირველი მერი“, „ადამიანი დროში“ — რომლებშიც ნათლად ჩანს მისი მდიდარი სულიერი სამყარო და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახის, სამშობლოს, ეკლესიის წინაშე. ავტორის შემოქმედებაში წინა პლანზეა წამოწეული მომავალი თაობების ღირსეულად აღზრდის საკითხი.

მაღალი სულიერი და ზნეობრივი ღირებულებებით აღიზარდნენ მათ ოჯახში ასევე ღირსეული შვილები და შვილიშვილები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ციალა ხაჟალიას სიყვარული და პატივისცემა თანამეცხედრის, ირაკლი ანდრიაძის მიმართ, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგაც არ განელებია: ცხოვრების მანძილზე სათუთად აგროვებდა და ინახავდა ცნობილი უცხოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიერ ირაკლისთვის გადაცემულ ყველა ისტორიულად ღირებულ საჩუქარს, სუვენირს, მნიშვნელოვან ნივთს, წერილს... რომლებსაც შემდეგ საპატიო ადგილი მიუჩინა და შთამომავლობას დაუტოვა უნიკალური საოჯახო მუზეუმი...

უკანასკნელ წლებში სულ ჩქარობდა, უნდოდა, ყველაფერი მოესწრო, ამბობდა, „ირაკლისთან რომ მივალ, ვეტყვი, სიცოცხლეშიც შენი ერთგული ვიყავი და სიკვდილის შემდეგაც გიერთგულე, ერთი დღეც არ გამიტარებია შენზე ფიქრის გარეშეო...“

წავიდა ჩვენგან ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, სამაგალითო ქართველი ქალი და საგზლად გაიყოლა ნათელი სახელი.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი!

მეგობრები

შვილები თემურ, მარინა ანდრიაძეები, რძალი ნატა იაშვილი, სიძე თენგო ქრისტესიაშვილი, შვილიშვილები ირაკლი, ია- მარიამ ანდრიაძეები, თეა, ეკა ქრისტესიაშვილები, რძალი ნინუცა ჯაფარიძე, სიძეები გიორგი ჩიქოვანი, ოთარ ბიბილეიშვილი, მამუკა მენთეშაშვილი, გიორგი მარშანია, შვილთაშვილები ელენე, ნიკოლოზ მენთეშაშვილები, კონსტანტინე, ცოტნე ჩიქოვანები, ქეთო სოსელია, ირაკლი, ილია მარშანიები, ნატალია, ნანიტა ბიბილეიშვილები, მაზლი ნოდარ ანდრიაძე, თამუნა, ქეთი ანდრიაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

გამოსვენება ხუთშაბათს, 3 ივნისს, 14 სთ-ზე წმ. სამების საკათედრო ტაძრიდან (ელიას მთა).

სანთელი

ვენერა კვერცხიშვილი-ზეიკიძის გახსენება

ვენერა, ჩემო შუბლნათელო, გულნათელო, უღალატო, სიკეთით სავსე მეგობარო, როგორ მალე გავიდა 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ და ცათა სასუფეველში გადახვედი. სტუდენტობის დროიდან ერთმანეთთან კავშირი არ გაგვიწყვეტია. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით. მახსოვს, რომ გაგვანაწილეს, ჭოპორტს რუკაზე ვეძებდით. წახვედი იქ სამუშაოდ და იქ შეგხვდა შენნაირი კეთილი ნოდარ ზეიკიძე. თქვენ ლამაზი ოჯახი შექმენით. სამი შვილი გაზარდეთ, განათლებულები. სიმღერა, სიმხიარულე და სიკეთე იყო შენი ოჯახის თანამგზავრი. მაგრამ ბოლოს ბედმა გიმუხთლა, შენი ვაჟკაცი ლადო ხელიდან გამოგეცალა. მალე ნოდარიც დაიღუპა. ნერვიულობამ ჯანმრთელობა შეგირყია. შენი გოჩა და ლალი არაფერს გაკლებდნენ, ბევრჯერ გადაგარჩინეს, მაგრამ ბოლოს მიხვდი, რომ ამ ქვეყნიდან გადიოდი და შენს შვილებს დაემშვიდობე, დაარიგე კიდეც, ჩემო ვენერა — შენი გაზრდილი შვილები არასოდეს გადაუხვევენ იმ გზას, რომელსაც წინ ჭეშმარიტება მიუძღვის და უკან კეთილი კვალი რჩება. ჩვენ კი არასოდეს დაგვავიწყდები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

შენი სტუდენტობის მეგობარი
ნელი გაჩეჩილაძე

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ლელა ამირანაშვილს მშობლების

კლავდია ჩქოფოიას და შოთა ამირანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნოდარი თოფურია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ სამძიმარს უცხადებს მარიკა ემუხვარსა და თეიმურაზ ჯანაშიას ოჯახის უახლესი ნათესავის, შესანიშნავი მოქალაქისა და საზოგადოებისთვის საყვარელი ადამიანის, ბატონ

ზურაბ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო.

ქართული ღვინო პოლონეთში

პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და კონტრაქტორი კომპანია „მალინოვას“ ორგანიზებით, ქართული ღვინო წარადგინეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სომელიეები, რესტორატორები, ღვინის სფეროს მწერლები და მედიის წარმომადგენლები კრაკოვიდან და კატოვიცედან.

„დეგუსტაციაზე, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის იმ მცირე მარნების ათამდე დასახელების ღვინო, რომელთა ექსპორტი დღეისათვის პოლონეთის ბაზარზე არ ხორციელდება. მსგავსი ღონისძიებების მიზანია, ხელი შეუწყოს პოლონეთის ღვინის ბაზარზე ახალი მწარმოებლების დამკვიდრებას. კრაკოვში გამართულ ქართული ღვინის წარდგენას ღვინის ჟურნალისტი მარიუს კაპჩინსკი და კომპანია „მალინოვას“ ხელმძღვანელი მარჩინ სვიატკოვსი უძღვებიდნენ.

ხუთი და 20 ლარიანის ახალ ბანკნოტები

2021 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში 2021 წლის ემისიის ხუთი და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტების გამოშვებას იწყებს. ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

„როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკი ნაღდ ფულზე ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნას მუდმივ რეჟიმში აკმაყოფილებს და, ამავე დროს, მიმოქცევის არხებიდან მოძველებული ბანკნოტების ამოღებასა და მათ განახლებას უზრუნველყოფს. ნაღდ ფულზე მოთხოვნის შეუფერხებელი დაკმაყოფილების მიზნით, 2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მარაგი ხუთი და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტებით შეივსო“.



„რუსთავის“ განახლებულ შენობაში ანზორ ერქომაიშილის სახელობის დარბაზი გაიხსნა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ ახლად რეაბილიტირებულ შენობაში ანზორ ერქომაიშილის სახელობის დარბაზი გაიხსნა.

ის კულტურის მინისტრმა პარლამენტისა და საკრებულოს წევრებთან, ანსამბლების „რუსთავის“, „მართვესა“ და ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრებთან ერთად გახსნა.

შენობას სრული რეაბილიტაცია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაუტარდა. ასევე განახლდა შენობის ფასადები, დერეფნები და ოთახები. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის დარბაზი სპეციალურად ხელოვნების აკადემიის „მართვეს“ დაბადების დღეზე გაიხსნა.

ამბავი მამულიშვილთა სურათებისა...

მიხეილ ჯავახიშვილს ბლოკნოტში ჩაუწერია (1931-1933): „მწერალთა სასახლეში **ორი მამულიშვილის სურათი ეკიდა**. ერთი მათგანი — **დ. ყიფიანი** — რუსებმა მოჰკლეს, მეორეს კი — **დიდ ილიას** — ქართველებმა გაუხვრიტეს შუბლი. ბოლშევიკებს ძილი უფრთხოდათ. ყიფიანის სურათი ქურდულად გაეპარეს, **ილიას კი ჯერ ერიდებიან, მაგრამ მისი დროც დადგება“** („უბის წიგნაკიდან 1924-1935“, 2005, გვ.290)...

ავიმომასწავებელი წინასწარმეტყველებაა... დღეს მწერალთა სახლის იმ ცნობილ დარბაზს აღარც დიდი ილიას სურათი ამშვენებს... „დამდგარა მისი დროც“... დიმიტრი ყიფიანის შემდეგ დარბაზში ილიას აკაკი წერეთელი დაუყენეს გვერდით... დღეს ორივე სურათი ამ დარბაზის გვერდითა ოთახში „ინახება“... მ. ჯავახიშვილი კი ამბობს, ბოლშევიკებს ძილი უფრთხოდათ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის სურათების შემხედვარესო; მაგრამ დღეს **თავისუფალ საქართველოში** ვის „უფრთხოდა ძილი“ ილიას სურათის ხილვით?

ამ კითხვაზე პასუხის გამცემი არის ვინმე?

* * *

ისე, ილიას სურათი (და ზოგი სხვისაც), როგორც ჩანს, მართლაც „უფრთხობს ძილს“ ვიღაცებს:

რამდენიმე წლის წინათ **განათლების სამინისტროში** პირველ სართულზე შესასვლელში **ილია ჭავჭავაძისა** და **იაკობ გოგებაშვილის** სურათები ეკიდა. ერთხელაც ილიას სურათი აღარ შემომეგება სამინისტროში მისულს... მინისტრთან (ა. ჯეჯელავასთან) ვიყავით შეხვედრაზე; ვკითხე მინისტრს: „ილიას სურათის გაქრობას რაიმე იდეური დატვირთვა აქვს თუ შემთხვევითი ამბავია-მეთქი“... ბატონმა მინისტრმა გაიცინა და მითხრა, ჩემს კაბინეტში გადავიტანეო...

კარგა ხანს იყო იაკობ გოგებაშვილის სურათი „ცალად“ განათლების სამინისტროს ფოიეში... მერე იაკობის სურათიც გაქრა... მითხრეს, რემონტს აკეთებენ და ამიტომ ჩამოხსნესო; რემონტის დასრულების შემდეგ სურათს დააბრუნებენ თავის ადგილზეო...

დამთავრდა რემონტი... სურათი დაიკარგაო...

სხვისა არა ვიცი და, მე კი

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე გამახსენდა: **„მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა (...), სიღრმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა;“ „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა... გაყალბებული...“**

...შეიძლება, არც არაფერ შუაშია... მაგრამ მე კი გამახსენდა და...

გიორგი გოგოლაშვილი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გალაქტიკის უნიკალური გამოსახულება



NASA-მ ირმის ნახტომის გალაქტიკური ცენტრის ახალი ფოტო გამოაქვეყნა. ის ბოლო 20 წლის განმავლობაში დაკვირვების შედეგად მიღებული 370 ფოტოსგან არის შედგენილი.

ეს მონაცემები სპეციალისტებმა ტელესკოპ „ჩანდრასა“ და რადიოტელესკოპ MeerKAT-ის მუშაობის შედეგად მიიღეს. ახალი გამოსახულება გალაქტიკის უფრო დიდ ფართობს მოიცავს, ვიდრე ძველი ფოტოები. „ჩანდრას“ მიერ აღმოჩენილი რენტგენის სხივები სტაფილოსფერი, იისფერი, მწვანე და ლურჯი ფერებით არის გამოყოფილი, MeerKAT-ისგან მიღებული ინფორმაცია კი იასამნისფრითა და ნაცრისფრით.

ყველაზე შთამბეჭდავი კანიონები

მსოფლიოში ყველაზე შთამბეჭდავ კანიონად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მდინარე ბლაიდთან მდებარე Blyde River Canyon დასახელდა. რომელიც ლამაზი ჩანჩქერებითაა ცნობილი.

მეორე ადგილზეა იჰლარის კანიონი (The Ihlara canyon), რომელიც თურქეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

მესამეა, ევროპაში ყველაზე დიდი ვერდონის კანიონი (Verdon Gorge), რომელიც პროვანსში, საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს და მისი სიგრძე 25 კილომეტრია. რეიტინგში მოხვდა მსოფლიოში ყველაზე ღრმა გრანდ კანიონი (Grand Canyon), რომელიც არიზონას შტატშია. ასევე რეიტინგშია იმავე შტატში მდებარე ანტილოპას კანიონი.

ფრანგების საჩუქარი ამერიკელებს

7 ივნისს საფრანგეთი აშშ-ს თავისუფლების ახალ ქანდაკებას გაუგზავნის. ახალი ქანდაკების გაგზავნის მიზანი ორ ქვეყანას შორის ისტორიული კავშირების ხაზგასმაა. თავისუფლების ახალი ქანდაკება ნიუ-იორკში 4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს ჩავა. ის პირველ ქანდაკებაზე პატარაა და სიმაღლეში მხოლოდ 2,83 მეტრს აღწევს.

ახალი ქანდაკების დამზადების სურვილი საფრანგეთმა 2019 წლის ივლისში გამოთქვა, თუმცა პანდემიის გამო პროექტის განხორციელება დროებით შეჩერდა და მხოლოდ მიმდინარე წლის ზამთარში განახლდა.

უსინათლო ალპინისტმა ევერესტი დაიპყრო

46 წლის ჩინელმა უსინათლო ალპინისტმა ჩუანგ ჰონგმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, ევერესტი დაიპყრო.

ჩუანგ ჰონგი გახდა პირველი აზიელი უსინათლო ალპინისტი და მესამე მსოფლიოში, რომელმაც ევერესტის დაპყრობა შეძლო.

„არ აქვს მნიშვნელობა ხარ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, დაკარგე მხედველობა თუ ხელი ან ფეხი არ გაქვს, სანამ ძლიერი გონება გაქვს, ყოველთვის შეგიძლია იმის გაკეთება, რაზედაც სხვები გეუბნებიან, რომ ვერ შეძლებ“, — განაცხადა ჩუანგ ჰონგმა.

პოლიციელი ძაღლები პენსიაზე გაუშვეს

ვირჯინიის პოლიციამ ვადაზე ადრე 13 პოლიციელი ძაღლი პენსიაზე გაუშვა, — ამის შესახებ AP წერს. გამოცემის ცნობით, სამართალდამცველებს აღარ სჭირდებოდათ მარიხუანას პოვნის უნარის მქონე ძაღლები, რადგან შტატში 28 გრამი მარიხუანას შენახვა კანონით დაუშვეს.

აშშ-ში პოლიციელ ძაღლებს ერთდროულად რამდენიმე აკრძალული ნარკოტიკის პოვნა შეუძლიათ. ბედფორდის მხარის შერიფმა განაცხადა, რომ ძაღლები პოლიციაში აღარ იმსახურებენ, იმისთვის, რომ ნარკოდილერებს თავის მართლების მიზეზი არ მიეცეთ.

შერიფმა განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში, ნარკოდილერებს სხვა ნარკოტიკებთან ერთად მარიხუანაც გადააქვთ. ასეთ ვითარებაში კი ადვოკატები განაცხადებენ, რომ პოლიციელ ძაღლებს რეაქცია ლეგალურ ნარკოტიკზე ჰქონდათ და ჩხრეკვის ჩატარება არალეგალურად ითვლება. ახლა ვირჯინიის შტატის პოლიციაში გეგმავენ ახალი ძაღლების აყვანას, რათა მათ ჰეროინზე, კოკაინზე და მეტამფეტამინზე რეაგირება ასწავლონ. ერთი ძაღლის გაწვრთნა 415 ათასი ღირს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 4 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2688; ევრო - 3.9843;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6329;
100 რუბლი - 4.4516; თურქული ლირა - 0.3842;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9211;
1000 სომხური დრამი - 6.2783.

ამინდი 2 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge